№ 3024
შაბათი,
11 მარტი

ცნობის ფურცელი

№ 3024
შაბათი,
11 მარტი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—15 კ., მეოთხე—10 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის ეკლ. ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1906

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქციაში არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-"Моамбе". ტელეფონი № 372

1906 წელს „ცნობის ფურცელი" სურათებიანი დამატებით

გამოვა იმავე პროგრამით, ყოველ დღე, გარდა ორშაბათისა და დიდი უქმეების შემდეგ.
დაახლოვებით თებერვლის გასულს ან მარტში გაზეთის ფორმატი **გადიდებული** იქნება. ამისათვის გერმანიიდან დაბარებულია განსაკუთრებული მსწრაფლ-მბეჭდავი მანქანა და ქაღალდი. ქაღალდი უკვე მოვიდა, ხოლო მანქანა გზაშია.

ფასი გაზეთისა:

ტფილისში და რუსეთის ყველა ქალაქებში გაგზავნით **ერთის წლით 6** მან. **ერთის თვით** 50 კაპ.

საზღვარ-გარედ გაგზავნით **ერთის წლით 11** მან. **ერთის თვით 1 მან.**

გაზეთის ხელის მომწერთ გაეგზავნებათ სურათებიანი დამატება

დამატებაში, გარდა უცხოეთის და რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ სურათებისა, მოთავსებული იქნება სურათები ადგილობრივ ცხოვრებიდანაც. დამატებაში მონაწილეობას მიიღებენ, გარდა მუდმივ თანამშრომლისა მხატვარი ოსკარ შმერლინგისა და გოგიაშვილისა, მხატვრები გრინევსკი, ბერიძე და როტტერი.

ადრესი: Тифлисъ. редакція „Цнобисъ Пурцели".

დილის **ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში** დილით

კვირას, 12 მარტს, 1906 წ., ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: ვლ. სარ. ალექსი-მესხიშვილის საბენეფისოდ

შემოსავლიანი ადგილი

კომედია 5 მოქმედებად ოსტროვსკისა თარგ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. კარკარეთელი, ოლ. ლეჟავა, მ. მდივანი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, ვ. შალიკაშვილი, დ. ჩარკვიანი, ვ. ურუშაძე.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. **წარმოდგენა დაიწყება 1 საათზე, დღისით.**

შეგირდებისათვის ადგილები განსაკუთრებით ბალკონის 3 და 4 იარ. 40 კაპ.

მზადდება წარმოსადგენად „პირველი მერცხალი", „ხალხი".

რეჟისორი **ვ. ალექსი-მესხიშვილი.**

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ მიღება ყოველდღე, კვირეების გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი,
ს. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი.
შ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალთა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
მ. გ. ამბტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისისა, ვენერიული და ქირურგიული ავადმყოფობანი.
ძ. ი. გძელიშვილი: 12—1 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი.
ა. ჰ. ქარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ა. ი. ზარაბინინა: 1½—2 ს. საბებიო და ქალთა ავადმყოფობანი.
გ. ი. ბურბენოვი: 1—2 ს. ქალისა და საბებიო ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ა. ი. კუზინოვი: 5—6 ს. შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობანი და ყვავილის აცრა.
ნ. გ. აზიანცი: 6—7 ს. შინაგან ავადმყოფობანი.
ბ. ა. ნავასარდიანი: 7—7½ ს.

რჩევა-დარიგების ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისთვის მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана Тифлис. противъ памятника Воронцова. (წლ.)

ქ. ბათუმში
ექიმი ა. ს. ბეთანოვი
იღებს ავადმყოფებს (ქალის, საბებიო, შინაგანი სნეულ.) ვლადიკავკავის და ტფილისის ქუჩების კუთხე, კომერციულ ბანკის სახლში. (30—31.—11)

ქ. ქუთაისში
ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
იღებს ავადმყოფებს (ყური, ყელი, ცხვირი და შინაგანი სნეულებანი), პუშკინის ქუჩა, სახლი გოკიელოვისა. (14—კვ.—9)

მედიცინის დოქტორი
ბ. ა. ახვერდოვი
დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა მიღება საშარდეს და სიფილისიან ავადმყოფებისა.
დილით 12—1 ს., საღამოთი 6—8 ს., კუკია, სემენოვსკის ქუჩა, № 20 (თვ.—4)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—11½ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს.
კუთხე კიროჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 12, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი
გ. ა. გედალინი
მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვერენიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილის 8-დან 9 საათამდე. საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (300—6.—45)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში
მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.

მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი

მ. გ. ალაჯანოვი. 1—2 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ტყავის ავადმყოფობანი.
ი. ნ. მხიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი, ელექტრონით წამლობა.
მ. ნ. დეიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
მ. ა. ტატეოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.
მ. ი. ამბტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
მ. შ. ქიშონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.
მ. რ. ოლხიოვი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.
მ. ა. ბეიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სანტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო არას და ცალკე ოთახებს. (150—52)

მედიცინის დოქტორი
გრიგოლ იოსების ძე ბურბენოვი,
რომელიც ხარკოვის უნივერსიტეტის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკის შტატის ორდინატორად იყო, იღებს საბებიო და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს. ავადმყოფები მიიღება: დილით 10-დან 12-მდე; საღამოთი 5-დან 7 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა, საარტისტო საზოგადოების პირდაპირ. (30—53—19)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კროვატი.

ტფილისი, 11 მარტი.

თავად-აზ. კრების გამო.

ცხრა მარტს თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაზე აირჩიეს ორი ამომრჩეველი, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიიღონ სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევნებში. ამ საგანგებო კრებისთვის მზადება თითქმის ორი კვირის წინად დაიწყო; კერძო კრებებზე გამორკვეულ იქნა, რომ არჩევნების საქმეს უნდა დაუკავშირდეს რამდენიმე საგნის განხილვა, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ თავად-აზნაურობის საარჩევნო მოქმედებასთან. ერთ-ერთ ასეთ საგნად დასახელებული იყო, მაგალითად, შუამდგომლობის აღძვრა მთავრობის წინაშე სამხედრო წესების გაუქმების შესახებ, მაგრამ საარჩევნო წესების ზედამხედველებმა აცნობეს თავად-აზნაურობას, თქვენს დღევანდელს კრებაზე არაფერ საგნის განხილვაში არ უნდა შეხვიდეთ, პირდაპირ ამომრჩევლები უნდა აირჩიოთო. თავად-აზნაურობა დაემორჩილა. ეს პატარა ფაქტი მშვენიერი დამახასიათებელია ეხლანდელის საარჩევნო კამპანიისა.

მმართველობა თითქოს ერთის მხრივ ნდობით ეკიდება თავად-აზნაურობას, მისგან არჩეული კაცები თითქოს ისეთისავე უმაღლესის უფლებებით უნდა იქმნან აღჭურვილნი, როგორიც მინიჭებული აქვს ბიუროკრატიის მაღალ ჩინოსნებს, სახელმწიფო საბჭოს წევრებად დანიშნულს მოხელეებს, მაგრამ მეორეს მხრივ მმართველობა სრულს უნდობლობას უცხადებს იმავ თავად-აზნაურობას, უკრძალავს მსჯელობა იქონიოს ისეთს უბრალო საგნებზედაც კი, რომელიც მთავრობის წინაშე რაიმე შუამდგომლობის აღძვრას ეხება. შუამდგომლობა ხომ იგივე თხოვნაა, უმორჩილესი თხოვნა. ვისაც თხოვნით მიმართავენ, იმას შეუძლიან აასრულოს ეს თხოვნა და შეუძლიან აგრეთვე არ აასრულოს, მაშასადამე, არაფერი საბუთი არ არის თხოვნის ასაკრძალავად, მით უმეტეს არაა საფუძველი ეკრძალოს თხოვნა იმ წოდებას, რომელიც ბიუროკრატიას ჰსურს თავისთან გაითანასწოროს და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის უფლებები გაუნაწილოს. ყველა ამის მიუხედავად, თავად-აზნაურობას მაინც ყოველივე მსჯელობა ეკრძალა.

რის ჰნიშნავს ეს?—არ ვიცით, რას ფიქრობს ამის შესახებ თვით თავად-აზნაურობა, ჩვენთვის კი აქ ახალი მაინცა და მაინც არაფერია: ბიუროკრატიას ჰსურს არჩევნების დროსვე ჩასტეხოს არჩეულ პირების ამომრჩევლებთან შემაერთებელი ხიდი. ჰსურს თავად-აზნაურობისაგან შეიძინოს ცოტა რამ ზნეობრივი ავტორიტეტი თავის მდგომარეობის გასამტკიცებლად, მაგრამ იმ პირობით კი, რომ თავად-აზნაურობამ სამაგიეროდ არაფერი მოსთხოვოს მას, ესაა ბიუროკრატიის ტაქტიკა, რომელიც მისგან ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე ცხადად სჩანს დეკემბრის შემდეგ.

თუმცა თავად-აზნაურობას მსჯელობა აეკრძალა, მაგრამ მაინც აღმოჩნდა ერთი ისეთი საკითხი, რომლის განუსჯელად დატოვება ყოვლად შეუძლებელი იყო. ეს საკითხი თვით არჩევნებს შეეხებოდა. ყველა თავადსა და აზნაურს აქვს საარჩევნო ხმა, თუ მხოლოდ ცენზის პატრონს ესე იგი იმას, ვისაც ორას ორმოცდაათი დესეტინა საკუთარი მიწა მაინც მოეპოვება? სახელმწიფო საბჭოს დებულების მეექვსე მუხლი ცენზის შესახებ სულ არაფერს ამბობს; იქ მხოლოდ ის არის ნათქვამი, რომ თითოეულ გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოება თავის წრიდან ორს ამომრჩეველს ირჩევს. თავად-აზნაურთა საზოგადოება, კანონთა კრებულის მეცხრე ტომის ძალით, შესდგება გუბერნიის ყველა თავადისა და აზნაურისაგან, ცენზის მიუხედავად, მაგრამ იგივე მეცხრე ტომი აღნიშნავს, რომ თავად-აზნაურთა კრებაზე საარჩევნო ხმა სხვა და სხვა თანამდებობის პირთა არჩევნებში მონაწილეობისათვის მხოლოდ ცენზიან თავადებს და აზნაურებსა აქვთ. ამგვარად კანონი ამ საგნის შესახებ გადაჭრილ პასუხს არ იძლევა. ჩვენი თავად-აზნაურებიც ყველა ერთის აზრისა არ იყო, ზოგი ცენზს ებღაუჭებოდა, ზოგიც უარ-ჰყოფდა იმას. დიდი უმრავლესობა დამსწრე თავად-აზნაურებისა ცენზის მომხრე აღმოჩნდა; ამ უმრავლესობამ არც ის აზრი შეიწყნარა, რომ ცოტა შეეცადნათ და მთავრობას შეჰკითხებოდნენ ამ სადაო კითხვის შესახებ. გუბერნიის მარშალმა უმრავლესობის სასიხარულოდ გამოაცხადა, რომ საარჩევნო ხმას მეცხრე ტომის ძალით მხოლოდ ცენზიანებისათვის ვცნობო და შეუდგა არჩევნებს.

გულმოდგინეობაც სწორედ ასეთი უნდა! ბიუროკრატია თითქოს სრულის უნდობლობით ეპყრობა თავად-აზნაურობას, თვით თავად-აზნაურობა კი ბიუროკრატიის გულში ჰკითხულობს რეაქციის გასამარჯვებლად განზრახულს, მაგრამ არ გამოთქმულს, ან შემთხვევით დავიწყებულს აზრებს და ცდილობს სწორედ ისე მოიქცეს, როგორც ეს, მისის აზრით, უფრო შეუწყობს ხელს რეაქციის გამაგრებას. საინტერესოა, რომ ბევრი თავად-აზნაურთა ორატორი პირდაპირ ამბობდა, თუმცა ცენზი უსამართლობაა, მაგრამ ხმა მაინც მარტო ცენზიანებს უნდა მივცეთო.

საყურადღებოა აგრეთვე, რომ ტფილისის გუბერნიაში ოთხასზე ცოტა ნაკლები ცენზიანი თავად-აზნაურია, მაგრამ ამათგან მხოლოდ ორმოცდა ერთმა კაცმა მიიღო არჩევნებში მონაწილეობა. ეს ხომ ბოიკოტი არ არის, ეს პირდაპირ პოლიტიკურ გემოვნების უქონლობაა!

სახელმწიფო სათათბირო და ჩვენი ტაქტიკა

II

შემდეგი*).

თებერვლის საკანონმდებლო აქტებით ჩამოყალიბებულს წესწყობილებას, ბიუროკრატიის გარდა, მხარს აძლევს და მომავალშიაც მას აუცილებლად დაუჭერს მხარს რუსეთის მსხვილი ბურჟუაზია და დიდი მამულის პატრონები. ამ ორმა კლასმა ბედნიერის გამოცდილებით იცის, რომ ბიუროკრატიის ბატონობა მათის ინტერესებისთვის არა თუ არაფერს სახიფათოს არ წარმოადგენს, პირიქით, ძალიან ხელსაყრელიც იქნება. საკმარისია მოვიგონოთ იალუს კონცესიები და სავლეხო ბანკი: ორივე ბიუროკრატიის აღმოჩინება, ვითომ და ხალხის ინტერესების დამაკმაყოფილებელი, მაგრამ მთელმა რუსეთმა იცის, რომ ორთავე შემთხვევაში ხალხის ინტერესი გარეგანი სამოსელი იყო, ხოლო შინაარსით კი ორივე გამოგონება წარმოადგენდა ხალხის ოფლით შექმნილ სიმდიდრის გადატანას მშრომელთა ხელიდან შეძლებულ კლასსების ჯიბესა და კუჭში. რუსეთის უმაღლესი ბიუროკრატია მომეტებულ წილად მსხვილ მემამულეების და ბურჟუების წრეებს ეკუთვნის. ბიუროკრატია ამ გვარად ნათესაობის კავშირით არის შეკავშირებული ფეოდალებთან და ბურჟუებთან, მაგრამ ესეც რომ არ იყოს, ბიუროკრატიის ინტერესი მოითხოვს ისეთს საეკონომიო პოლიტიკას მისდიოს სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, რომელიც მშრომელთა ექსპლოატაციას გააძლიერებს შეძლებულ კლასსების სასარგებლოდ, რადგან უამისოდ ბიუროკრატიას ფულის საშოვნელად ყოველთვის თითონ მოუხდებოდა ექსპლოატაციის მოხდენა, ეს კი ერთის მხრივ ბიუროკრატიის ძალებს აღემატება და მეორეს მხრივ—ძალიან მალე შეაგნებინებდა ხალხს, ვინ არის იმისი დაუძინებელი და სისხლის მწყურვალი მტერი. ბიუროკრატია უმჯობესად სცნობს, მშრომელ ხალხის ექსპლოატაციის საქმეში თავისი როლი იმ მხრივ შეასრულოს, რომ ფეოდალებს და ბურჟუებს კანონიერი გზა მისცეს ექსპლოატაციისათვის და შემდეგ საერთო მოქმედებით შეძენილს სიმდიდრეში მხა-მხარეულად დაიდოს წილი. ეს კავშირი ბიუროკრატიისა და შეძლებულ კლასსებისა ბუნებრივად შემაერთებელ ძაფად შეიძლება დაისახოს, მაგრამ ამას გარდა არსებობს არა ბუნებრივი, ბოროტ-მოქმედებითი კავშირი, რომელსაც მოქრთამეობა და ხაზინის ძარცვა ჰქვიან და რომელსაც რუსეთის ცხოვრებაში მეტად დიდი ადგილი უკავია. ამ მხრივ ბიუროკრატია და შეძლებული კლასსები საიდუმლო შეთქმულებით არიან დამეგობრებული მშრომელ ხალხის საყვლეფავად.

მსხვილი ბურჟუაზია და მემამულეები საკმაოდ დაინტერესებულნი არიან, რომ რუსეთის ეგრედ წოდებულ „საკანონმდებლო" დაწესებულებაში უდიდესი მნიშვნელობა ბიუროკრატიას ჰქონდეს, ხოლო ბურჟუებს და მემამულეებს კი კანონიერი საშუალება მიეცეთ, საჭიროების დროს პირდაპირ განუმარტონ ხოლმე მას, რა მიმართულების პოლიტიკაა მათთვის სასარგებლო და ხელ-საყრელი. თებერვლის სახელმწიფო სათათბირო და სახელმწიფო საბჭო სწორედ ამ რეცეპტით არის გამოწერილი და, რა თქმა უნდა, შეძლებული კლასსები გულწრფელად დაებღაუჭებიან იმას.

განმათავისუფლებელ მოძრაობის დაწყებამდე რუსეთის მსხვილი ბურჟუები და მემამულეები პოლიტიკურ ბატონობისთვის მებრძოლ კლასსის უკვე საკმაოდ მომწიფებულს ელემენტებს წარმოადგენდნენ, თუმცა ჯერ-ჯერობით კლასს მაინც არ შეადგენდნენ. თითოეული წარმომადგენელი ბურჟუაზიის და მემამულეთა წრეებისა განკერძოვებით ჰმოქმედებდა, ცალკე იჭერდა საქმეს ბიუროკრატიასთან და მის შემწეობით კერძოდ თავის ეკონომიურ ძალღონის გაძლიერებაზე ზრუნავდა. კლასიურ ინტერესების მთლიანობა ცხოვრების პოლიტიკურ პირობათა წყალობით ჯერ ისე მაგრად არ იყო გამჯდარი მათს ძვალთა და რბილში, რომ შინაური ანტაგონიზმი და ინტერესთა წინააღმდეგობა დაჩრდილულიყო და პრაქტიკულ პოლიტიკის პირდაპირ იდეალად გადაქცეულიყო მოპოვება პოლიტიკურის კლასსებრივის ბატონობისა. რუსეთის ბურჟუაზიამ და მემამულეებმა მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ იგრძნეს აუცილებელი საჭიროება კლასსობრივ პოლიტიკურის ბატონობისა: წინანდელი დამცველი მათის ინტერესებისა, ბიუროკრატია ეხლა გაჩუმებული იყო, თითქმის სრულიად ძალა გამოლეული სულსა ჰლაფავდა, სოციალისტური პარტიები კი მედგარის იერიშებით მიდიოდნენ ბურჟუაზიაზე და მემამულეებზე, ამოკლებდნენ სამუშაო დღეს ქარხნებში და ეპატრონებოდნენ მამულებს. მიუხედავად დიდის სურვილისა, ბურჟუები და მემამულეები თავის საკუთარის ძალღონით ოქტომბერში და დეკემბერში ასე ერთბაშად, რა თქმა უნდა, ძლიერის პოლიტიკურის პარტიის დაარსებას ვერ მოასწრებდნენ და ამიტომ უმჯობესად სცნეს ისევ ბიუროკრატიას მიჰკედლებოდნენ და იმის დახმარებით დაებრუნებინათ წინანდელი კლასსიური უპირატესობანი. ამ გვარად, თუმცა ისტორიულად დღევანდელი ბლოკი ბიუროკრატიისა და შეძლებულ კლასსებისა ბუნებრივია, მაგრამ ამ ბლოკს ისტორიულ ხანგრძლივობას ელფერიც არა აქვს. როდესაც-კი ბურჟუაზიულ-ფეოდალური კლასსები საკმაო ძლიერებას მოიპოვებენ, ისინი აუცილებლად იბრუნებენ პირს და ეხლანდელს თავის მოკავშირეს შეუტევენ. ბიუროკრატიის თვითმპყრობელობა ერთის მხრივ თუ სასარგებლოა შეძლებულთა კლასსებისთვის, მეორის მხრივ პირდაპირ საზარალოა მათთვის, რადგან ბიუროკრატია ბურჟუებსა და ფეოდალებს კლასსებრივს სარგებლობას შუაზე უყოფს და უნახევრებს. ბიუროკრატიის ბატონობა საზარალოა როგორც დემოკრატიულ, აგრეთვე ბურჟუაზიულ-ფეოდალურ რუსეთისთვის, ამიტომ ადვილი მოსალოდნელია დემოკრატიულ და ბურჟუაზიულ-ფეოდალურ კლასსების შეთანხმება ბიუროკრატიის წინააღმდეგ.

როდის და რა პირობებში შეიძლება მოხდეს ასეთი შეთანხმება?—ამ შეთანხმებისთვის ყოვლის უწინარეს საჭიროა, გაცრუებულ იქმნას ბურჟუების და მემამულეების ეხლანდელი იმედი, ვითომც ბიუროკრატიას შეეძლოს მკვიდრი უფლებრივი წყობილება შემოიღოს და მშვიდობიანობა აღადგინოს რუსეთში. ბურჟუები და გაბურჟუებული ფეოდალები მხოლოდ იმიტომ უწილადებენ თავის კლასსებრივ სარგებლობის ნაწილს, მხოლოდ იმიტომ ეკიდლებიან და ამაგრებენ რუსეთის თვითმპყრობელ ბიუროკრატიას, რომ სწამთ ამ ბიუროკრატიის ძალა, განსაკუთრებით დეკემბრის გამარჯვების შემდეგ, სწამთ, რომ ბიუროკრატია სულერთიან მოსპობს რუსეთში სარევოლიუციო ენერგიას. საკმარისია შეირყეს ეს რწმენა, დამტკიცდეს რეალურ ფაქტებით ამ რწმენის უნიადაგობა და ბურჟუაზია ისე ჩამოეცლება ბიუროკრატიას, როგორც შემოდგომის ფოთოლი მცენარეს. ბურჟუაზია ბუნებით ოპორტუნისტული კლასსია, საც გამარჯვების იმედი არ არის, იქ ის არ გაჩერდება.

რა თქმა უნდა, ბურჟუაზია შეურიგებელი და მოსისხლე მტერია სოციალიზმისა, ის სოციალისტურ წითელ დროშის ქვეშ არაფრის გულისთვის არ დადგება, მაგრამ დემოკრატიზმისა იმას მაინცა და მაინც არ ეშინიან, თუნდაც ეს დემოკრატიზმი პირდაპირ დემოკრატიულ რესპუბლიკამდე მიდიოდეს. საფრანგეთის დემოკრატიზმი ბურჟუაზიის კლასსებრივ ბატონობას ხელს არ უშლის—ეს მაგალითიც საკმაოა. მაშასადამე, ბურჟუაზიულ კლასსებისა და სოციალისტურ პარტიების თანხმობითი მოქმედება ბიუროკრატიის წინააღმდეგ დემოკრატიულ პრინციპების გასაყვანად შესაძლებელია, თუ-კი ერთი როგორმე შეირყა რწმენა ბურჟუაზიის გონებაში ბიუროკრატიის მძლეთამძლეობის შესახებ. ასეთის თანხმობისთვის მეორე აცილებული პირობაა, ბურჟუაზია ან დარწმუნებული იყოს, რომ სოციალისტური პარტიები და ამ პარტიებში დარაზმული პროლეტარიატი და გლეხობა არ ესწრაფვის სოციალიზმის დაუყოვნებელს განხორციელებას, ან დანამდვილებით იცოდეს, რომ სოციალისტურ პარტიებს საკმაო ძალ-ღონე არ შესწევს ამ ჟამად სოციალიზმის განსახორციელებლად. რაც უნდა ხმა-მაღლა იძახონ უკიდურესს პარტიების წარმომადგენლებმა, ჩვენ ეხლა სოციალიზმი უტოპიად მიგვაჩნიაო და იმის დამყარება, როგორც ფუჭი ოცნება, ჩვენი მახლობელი მიზანი არ არისო, ბურჟუაზია მაინც უნდობლად მოეპყრობა მათს სიტყვებს და სამართლიანადაც: თუ სოციალისტურმა პარტიებმა გაიმარჯვეს, ისინი აუცილებლად შეუდგებიან ბურჟუაზიულ წყობილების ლიკვიდაციას, თუნდ პარტიის მეთაურებს ჰკუაში არ მოსდიოდეთ ასეთი მოქმედება მუშებისა და გლეხებისა. მაშასადამე, ბურჟუაზია მხოლოდ მაშინ მისცემს მხარს უკიდურესს პარტიებს, როდესაც ან ისინი სოციალიზმს უარ ჰყოფენ და ან თვით ბურჟუაზია ისეთს ღონიერს პოლიტიკურს პარტიას შეჰქმნის, რომელსაც ყოველთვის იმედი ექნება თავის საკუთარის ძალღონით გაუმკლავდეს სოციალისტებს და უკან დაახევინოს. უკიდურესი პარტიები, რა თქმა უნდა, სოციალიზმს ვერ უმტყუნებენ და, მაშასადამე, მათი თანხმობა ბურჟუაზიულ კლასსებთან მხოლოდ მაშინ იქმნება შესაძლო, როდესაც ისინი ძლიერს ბურჟუაზიულს პარტიას შეადგენენ. ჩვენ გვგონია, რომ დღეს რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრების განვითარება სწორედ ამ მხრივ მიმდინარეობს. სხვა და სხვა სახელწოდების ბურჟუაზიული პარტიები და კავშირები, რომლებიც 17 ოქტომბრის შემდეგ აღმოცენდნენ, პირველ ხანებში მთავრობის წინაშე სრულს მორჩილებას აცხადებდნენ, მაგრამ

---

*) იხ. „ცნ. ფურც." № 3023.

თანდათან, რაც უფრო მეტს ძალებს აგროვებენ ისინი თავის გარშემო, უფრო და უფრო ოპოზიციურს ხასიათს იღებენ და ზოგიერთი მათი იდეოლოგები ეხლანდელს მთავრობას უკვე საჯაროდ ჰგმობენ და პირდაპირ ურცხვს და უსინდისოს უწოდებენ.

ახლად შემდგარ ბურჟუაზიულ პარტიების ოპოზიციონური ხასიათი მეტად საინტერესო სიმპტომია და იგი უცილობელ ჰყოფს, რომ მათ ორი არსებითი თვისება ახასიათებს: უკმაყოფილება ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობისა ერთის მხრივ და კავშირი ამავე ბიუროკრატიასთან მეორეს მხრივ. ეს შინაგანი წინააღმდეგობა გაძლიერდება და უფრო ცხადად გამოსჩნდება ს ხელმწიფო სათათბიროში, მაგრამ ბურჟუაზია თავის საკუთარის ძალღონით ან, უკეთ რომ ვთქვათ, თავის ინიციატივით ამ წინააღმდეგობის მოსასპობად ვერც ერთს გაბედულს ნაბიჯს ვერ გადასდგამს: იგი მუდამ შიშში იქნება, რომ თუ ბიუროკრატიამ იმას უეცრივ ზურგი შეუქცია, უკიდურეს პარტიებს ჩაუვარდება ხელში და ამას კი, რა თქმა უნდა, არ მოისურვებს. ბურჟუაზიულ პარტიების დასახსნელად შინაგან წინააღმდეგობისაგან, ამ პარტიების დასაპირდაპირებლად ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობისთვის პირველი ნაბიჯი უკიდურესმა პარტიებმა უნდა გადასდგან. სოციალისტურმა პარტიებმა მარჯვე დრო უნდა შეარჩიონ და გაბედულის სარევოლიუციო გამოსვლით სულერთიან უნდა დაუბნიონ ბურჟუებს რწმენა, ვითომც ბიუროკრატია მათთვის ციური ანგელოზი იყოს, უფლებრივ წესწყობილების დამამყარებული და „მშვიდობიანობის“ აღმადგენელი. მხოლოდ ამის შემდეგ შეიქნება შესაძლო, თვითმპყრობელ ბიუროკრატიასთან ბრძოლის ველზე შეერთდნენ სოციალისტური და ბურჟუაზიული პარტიები, რომელთაგან უკანასკნელი საჭიროდ აღარ დაინახავს მორჩილების სამოსელი ატაროს და მრისხანედ გატიტვლებულს გულს პირდაპირ დაანახვებს ბიუროკრატიის თვითმპყრობელობას.

ეს მომავლის პერსპექტივაა, დღეს დღეობით კი ბურჟუაზიულ-ფეოდალური კლასები მთავრობის ერთგულნი არიან და გულწრფელად მიდიან სახელმწიფო სათათბიროში ბიუროკრატიასთან შესაერთებლად ერთის მხრივ ბიუროკრატიის გასაძლიერებლად და მეორეს მხრივ თავისს კლასსობრივ ბატონობის გასამტკიცებლად. მათის იდეოლოგების წარმოდგენით რუსეთის რევოლიუცია უკვე დასრულდა, საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობა საბოლოოდ გამოირკვა, ყალიბში ჩამოისხა ეგრეთვე ამ ურთიერთობის შესაფერი სახელმწიფოებრივი ფორმა ქვეყნის მართვა-გამგეობისა; სახელმწიფო სათათბირო და საბჭო არა თუ აუცილებლად შესდგება, სასურველია ამასთანავე ამ დაწესებულებებში რაც შეიძლება მეტი დემოკრატიული ელემენტი მოჰყვეს, რომ ბურჟუაზიის და ბიუროკრატიის ხელშეკრულობის განხორციელების დროს გაფართოვებულ იქმნას პირთვნების უფლებები და უზრუნველ ყოფილ იქმნას სამოქალაქო თავისუფლება, ასეთ შეხედულების დამცველად ქართულს მწერლობაში გამოვიდა ბ-ნი ფ. გოგიჩაიშვილი, რომლის ზრითაც დეკემბრის დამარცხების შემდეგ „პოლიტიკურ საქმიანობაზე“ მიდგა პოლიტიკური განვითარება რუსეთის ცხოვრებისა. ჩვენი შეხედულება არსებითად განსხვავდება ბ-ნ გოგიჩაიშვილის აზრებისაგან. ჩვენ გვგონია, რომ მომავალი ყოვლის უწინარეს დამოკიდებულია უკიდურეს პარტიების ტაქტიკაზე და მათს პოლიტიკურს შორსმჭვრეტელობაზე. საზოგადოებრივ ძალთა ის კომბინაცია, რომელიც ვიტტემ მოახდინა, უცვლელი არ არის, პირიქით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს კომბინაცია აშენებულია ღრმა შინაგანს წინააღმდეგობაზე, რომელიც ეხლავე ცხადად სჩანს და შემდეგში უფრო აშკარად გამომზევდება, თუ ბურჟუაზიულ აზროვნებით მოწამლულმა ქადაგებამ უკიდურეს პარტიებს გზა კვალი არ დაუბნია და აქტიურ მოქმედებაზე უარი არ ათქმევინა. (შემდეგი იქნება)

ქართლში

სოფ. ფცა. გმინავს და იტანჯება მთლად ქართლის დაჩაგრული და დაბეჩავებული გლეხ-კაცობა. ჰყვლეფავენ და სძარცვავენ ისედაც გატაკებულს, მათრახავენ და ატუსაღებენ ხალხს, როგორ გაბედე წელში გამართვა და ხმის ამოღებაო. ხალხის მტერნი და გაიძვერანი, მიჩვეულნი მრავალ-საუკუნოებით იმის ქედის მოხრას ყოველ უსამართლობის წინაშე, ყოველს ღონეს ხმარობენ, რომ ჩააქრონ ნაპერწკალი გამოფხიზლებისა და წელში გამაგრებისა. მაგრამ შესძლებენ კია?!

არც ჩვენ სოფელ ფცას ასცდა ყაზახების და სტრაჟნიკ-ჩაჩნების გამასპინძლება. ხშირ-ხშირად დაგვხედავენ ხოლმე სტუმრები და ეძებენ არა კეთილ-საიმედო პირებს“ და იარაღს. სჩხრეკავენ სახლებს, აქოთებენ კიდობნებს, ყუთებს, ქვევრებს და სახლის კუნჭულებს, მაგრამ რაც არა არის რა, რას იპოვიან. ხშირად ამ ჩხრეკვაში დიდი ზარალი მოსდით მცხოვრებლებს...

ჩვენ სოფელში მემამულე თავადი თვითონ აქ არა სცხოვრობს და მამულს მოურავი განაგებს. რამდენისამე წლის წინად თავადს მოურავად ჰყავდა ერთი გულ-ქვა და შეუბრალებელი ჩაჩანი, რომელსაც გლეხები მეტად ემდურებოდნენ. ხშირად ჩაჩანი ულმერთოდ სცემდა ხოლმე გლეხებს. ხალხმა ველარ გაუძლო მოურავ ჩაჩნის საქციელს და წარსულ ზაფხულს, როდესაც ერთობის სიომ დაჰბერა, გააძევა იგი. მოურავი დღემდი აღარა სჩანდა, მაგრამ დღეს, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, კიდევ გაჩნდა ჩვენს სოფელში ჩაჩნებით და სტრაჟნიკებით და ძველ საქმეს მიჰყო ხელი. მოურავს გარდა სოფელთან თვით თავადსაც აქვს დავა ას სამოც თუმანზედ. შარშან თავადმა ცხვრის ფარა გაჰყიდა. ეხლა თავადი ეუბნება გლეხებს: „თქვენ რომ ჩემთვის მოჯამაგირები მოგეცათ, მე ცხვარს არ გავყიდდი ასე იაფად და არ ვიზარალებდიო“. ამ ფულს ეხლა ახდევინებენ ჩვენს ისედაც გატაკებულს სოფელს.

აქამდის მიჩუმებული ჯაშუშები, ეხლა გამოცოცხლდნენ და წელში გამაგრდნენ. ფარულად დაიწყეს მოქმედობა, ვითომ ხალხს უმალავენ თავიანთ ხელობას, მაგრამ ხალხი ბრმა არ არის, კარგად არჩევს თავის მტერს და მოკეთეს და თავის დროზედ შესაფერს მსჯავრს დადებს. **დათიკო.**

სოფ. მეტეხი. 17 თებერვალს სოფელ მეტეხს ეწვია ოცდა ხუთი ყაზახი ბოქაულ ყარალაშვილის წინამძღოლობით. მოსვლისთანავე ბოქაულმა უბრძანა სოფლის მამასახლისს, ქუდზე კაცი შეეყრიებინა. მამასახლისმა ყაზახებით ჩვეულებისამებრ წამოუარა და ნახევარ საათში სოფლის სამმართველოსთან მთელ სოფელს მოუყარა თავი. ბოქაულმა მოსთხოვა ხალხს აგიტატორები, იარაღი და სხვა. ამასთან გამოუცხადა, თუ ჩემ მოთხოვნილებებს არ დააკმაყოფილებთ, ხუთი დღის შემდეგ ასი კაზაკი მოვა, ზარბაზნებითაო. ამორჩეულმა კაცებმა უთხრეს ბოქაულს, რომ ჩვენ იარაღი, რაც გვქონდა, მაზრის უფროსს ჩავაბარეთ; რაც შეეხება აგიტატორებს, ჩვენ იმათ არ ვიცნობთ, რადგან უცხონი იყვნენო. საღამოს ექვს საათზე ბოქაული ყაზახებით სოფელ ახალქალაქში გაემგზავრა. ხალხიც დაიშალა. სოფელი ხუთი დღის შემდეგ მოელოდა ყაზახების მოსვლას და გადაწვა-გადაბუგვას. მეორე დღეს სოფელში ადამიანი ერთ ქალს ველარ შეხვდებოდა, რადგან შიშით სოფელი სულ გაიხიზნა. ხალხს საქმეზე გული აღარა ჰქონდა და გლეხები დაღვრემილნი დადიოდნენ.

გაიარა კიდეც ხუთმა დღემ, მაგრამ ყაზახები არსად სჩანდნენ. გათენდა მეექვსე დღე, 23 თებერვალი. ხალხმა ცოტა თავისუფლად ამოისუნთქა, ცოტა გულიდან დარდი გადაიყარა, ამ დღეს ყველა სამუშაოდ გავიდა. მაგრამ არ გასულა სამ-ოთხი საათი, რომ ყაზახები ხელახლა გაჩნდნენ—ბოქაულის კაოჩულვის წინამძღოლობით. მთელ სოფელს ალყა შემოარტყეს. სოფელი ხელახლა შიშმა მოიცვა, თხუთმეტ წამში მთელმა სოფელმა თავი მოიყარა. ბოქაულმა მოსვლისთანავე სურსათი მოითხოვა. ხალხს გამოუცხადა, თუ ოც წამში ჩემს მოთხოვნილებებს არ დააკმაყოფილებთ, მთელ სოფელს გავანადგურებთო. იგი ითხოვდა: 1. 63 თოფს; 2. ორ ზარბაზანს; 3. ასაფეთქებელ მასალას; 4. აგიტატორებს. ხალხი სულ „არა გვაქვს“ იძახოდა. ან კი, რაც არა ებადათ-რა, რას მისცემდნენ. გავიდა ოცი წამიც და ბოქაულის ბრძანებები დაუკმაყოფილებელი დარჩა. ბოქაულმა ხალხს გამოუცხადა, ეხლა კაზაკები შეუდგებიან თქვენს ოჯახების ჩხრეკას და თუ აღმოჩნდა რაიმე იარაღი, ცუდი დღე დაგადგებათო. გაჩხრიკეს ყველა სახლი, მაგრამ ვერა იპოვნეს-რა. ასეთი შიში გამოიარა ხალხმა. **მუშა ფ.**

ახალი ამბავი

◆ **შეტაკება.** როგორც შორაპნის მაზრიდან გვატყობინებენ, 9 მარტს შეტაკება მოსვლიათ სტრაჟნიკებს, რომელთაც უფროსობდა ბოქაული მახარაძე, და აფრასიონ მერკვილაძის კაცებს. სტრაჟნიკებს მოუკლავთ ორი კაცი—ვ. სარდანაძე და გიორგი ქიმპურიძე. სტრაჟნიკების მხრიდან მოუკლავთ უმცროსი ურიადნიკი სტეფანოვი. თვითონ მერკვილაძე გაქცეულა. მახარაძის დასახმარებლად ზესტაფონიდან გაუგზავნიათ ყაზახთა რაზმი და 9 დარაჯი.

◆ **კრება.** ჩვენ გავიგეთ, რომ თებერვალში მომხდარა ამიერ-კავკასიის ს.-რევოლ. პარტიის ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრება. გადაუწყვეტიათ დაარსონ ამიერკავკასიის საოლქო კავშირი პარტიისა, რისთვისაც კიდეც შეუდგენიათ დროებითი წესდება და აურჩევიათ საოლქო კომიტეტი, რომელიც უკვე შესდგომია თავის მოვალეობის ასრულებას. კრების ოქმები დაიბეჭდება პარტიის ორგანოში.

კრებას სხვა და სხვა დადგენილება მოუხდენია თანამედროვე საკითხების შესახებ.

◆ **არჩევნები.** როგორც ქართლიდან გვატყობინებენ, იქ ზოგიერთ სოფლებში გლეხობა უკვე შესდგომია არჩევნებს სახელმწიფო სათათბიროში. ს. ალის მახლობლად მდებარე სოფლებს კრება ჰქონიათ და ორი ამომრჩეველი აურჩევიათ. თვით ალის მცხოვრებთ კი არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ.

◆ **არჩევნები რკინის გზაზე.** რკინის გზის მოსამსახურეებმა ისე უნდა მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში, რომ სამსახურს არ დააკლდნენ.

◆ **დაპატიმრებულნი.** დუშეთის სამაზრო საპატიმროში, როგორც უკვე ვწერდით, 19 პატიმარია. ამათ მოსთხოვეს სათავდებო ფული და მალე გაანთავისუფლებენ კიდეც.

◆ **დაპატიმრებულთა საქმის გამოძიება.** როგორც ოზურგეთიდან გვატყობინებენ, იქ უკვე ჩასულა ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი და პოლიტიკურ პატიმართა საქმის განხილვას შესდგომია. სულ დაპატიმრებულია 20 კაცი. 5 კაცის საქმის გამოძიება უკვე დაუსრულებია.

◆ **უარი ხევსურებს.** ამ ორი კვირის წინად ახიელის სოფლის ხევსურებმა შუამდგომლობა აღძრეს და ადგილები ითხოვეს თელავის მაზრაში, ხევსურები უადგილობით ძალზე შევიწროებულნი არიან თურმე. როგორც გავიგეთ, სახელმწიფო მამულების გამგეობას ეს შუამდგომლობა არ დაუკმაყოფილებია და მიზეზად თავისუფალ მიწის უქონლობა დაუსახელებია. რუსეთიდან გადმოსახლებულთათვის, რა თქმა უნდა, ასეთი მიზეზი არ არსებობს.

◆ **კატორგა.** გუშინ, 10 მარტს, კავკ. სამხედრო სასამართლომ განიხილა საქმე ლავრენტი ცინცაძისა, რომელსაც საკანდიტროს პატრონის იუზბაშევის მოკვლის განზრახვა ბრალდებოდა. საქმე ხალხის დაუსწრებლად გაირჩა. ცინცაძემ განაცხადა, ადგილი ვთხოვე იუზბაშევს, იმან უარი მითხრა და ჯიბგირი დამიძახა, ამან ძალიან გამაბრაზაო. სასამართლოში მოწმეთა ჩვენებით გამორკვეულა, რომ ამ საქმეს არავითარი პოლიტიკური სარჩული არ უდევს და ცინცაძის შეტაკება იუზბაშევთან კერძო წვრილმან ინტერესების გამო მომხდარა. სასამართლომ ცინცაძე დამნაშავედ იცნო და გადაუწყვიტა 8 წლით კატორღაში გაგზავნა. ცინცაძე მცირე წლოვანია, 16—17 წლის ყმაწვილი.

◆ **ახალი სამრეწველო ამხანაგობა.** როგორც გადმოგვცეს, შემდგარა ამხანაგობა, „იმედი“, რომელმაც უნდა აწარმოოს ლიტოგრაფიის ქვის საქმე თიონეთის მაზრაში. სოფელ მატანს, თავ. ჩოლოყაშვილის მამულში მშვენიერი ლიტოგრაფიის ქვაა, რომელიც სჯობს თურმე თვისებით ბავარიის განთქმულ ლიტოგრაფიის ქვას.

◆ **დაჯილდოვება არა გაფიცულებისა.** ფოსტა-ტელეგრაფის ოლქმა 5000 მანეთი გადასდო იმ მოსამსახურეთა დასაჯილდოვებლად, რომელთაც მონაწილეობა არ მიიღეს გაფიცვაში.

◆ **უბნების შეერთება.** განზრახულია მე-4-ე და მე-2-ე საპოლიციო უბანი უნდა შეაერთონ და დიდუბე და ნაძალადევი ერთ საპოლიციო უბნად აქციონ.

◆ **სამხედრო ბეგარა ტფ. გუბერნიაში.** ტფილისის გუბერნიაში ახლათ გაწვეულთა შორის, 15 თებერვლამდე, სამხედრო სამსახურში მიუღიათ სულ 700 კაცი. აკლია მთელ გუბერნიაში კიდევ 504 კაცი.

◆ **თავად-აზნაურთა კრება.** 18 მარტისთვის დეპუტატთა საკრებულოში დანიშნულია ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა კრება მაზრის მარშლის ბ-ნ იედიგაროვის თავმჯდომარეობით. კრება მოწვეულია სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად.

◆ **მშობელთა წრე.** ტფილისის რეალურ სასწავლებლის მოწაფეთა მშობელთა წრის არჩევნები დამთავრდა. წრეში შევიდნენ: ვ. პ. მღალაქია, ე. ი. რაბუტოვსკისა, მ. ი. კახეთელიძე, ნ. ი. უმნეცი, ე. ს. ვანლიარსკი, ი. დ. სოხია, ი. ს. მელიქდარანოვი, ა. ა. გარბალევიჩი, ა. ე. დავითიანცი, ნ. ე. ეგოროვი, ა. დ. სოკოლოვი, პ. ვ. ანდრეევი, გ. ა. ტერ-სტეფანოვი, პ. კ. პაპოვი, ნ. ი. პავლოვი ლ. ვ. სპეგალსკი, ს. ფ. ელინერი, ო. ა. პაპოვი. სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქმნენ მ. ნ. ბუსლაევი, ნ. ა. ვორონინი, კ. ტ. ვასილიევი, ე. დ. გულისაშვილი, ფ. ა. ბასილენკო. ხაზინადრად ა. ა. გარბულევიჩი, ხოლო მდივნად ლ. ვ. სპეგალსკი.

◆ **საბალნეოლოგო სადგური.** 9 მარტს გუბერნატორის თავმჯდომარეობით მოხდა კრება საბალნეოლოგო სადგურის საკითხის განსახილველად. კრებას დაესწრნენ საგუბერნიო ინჟინერი, ქალაქის გამგეობა და ზოგიერთი ხმოსნები. კრებამ მოისმინა მოხსენება. ეს საკითხი, როგორც სჩანს, 1879 წელს აღუძრავს ნ. ი. ნიკოლაძეს. უმთავრესი დაბრკოლება აბანოების შეძენა, რადგან ამას დიდი ფული დასჭირდება. ქალაქის თვითმმართველობამ შუამდგომლობა აღძრა, რომ აბანოები ეცნოთ საყოველთაო საზოგადო დაწესებულებად კავკასიის სამკურნალო ნაწილის გამგეობამ სამართლიანად

ფელეტონი

სოციალდემოკრატია და მუშათა მოძრაობა

თავი პირველი

საფრანგეთის სოციალდემოკრატია

VI*)

ჩვენ ვიცით ეხლა, რა იყო დღემდის სოციალდემოკრატია, ვიცით აგრეთვე, რა აზრებისა და პროგრამის მეოხებით მოიპოვა მან სიმპატია მომქმედ პროლეტარიატისა. მოკლედ ისიც განვიხილეთ, თუ როგორ პირობებში იშვა მარქსისტთა პარტია საფრანგეთში და რა გვარ სახსრებს მიმართა მან, რომ მალე მოეკიდნა ფეხი მუშათა მოძრაობაში. ვნახოთ, თუ რას წარმოადგენს სოციალდემოკრატია ეხლა. მაგალითად კიდევ იმავე მოლე წრეს, განსაკუთრებით გედს, ავიღებთ. გედი „კერძო პირი“ არ არის, იგი შემქმნელია პარტიისა, დღემდის შერჩენია სახელი „უკეთეს და შეურყეველ“ მარქსისტისა, დღემდის იმისი სიტყვა ავტორიტეტია პარტიისათვის, მისი აზრი პარტიის აზრად ითვლება და ჩვენც მივმართავთ ფრანგ მარქსისტთა ამ უკეთეს ეგზემპლიარს. რაც შეეხება თვით პარტიის მოქმედებას, ამაზე კიდევ ცალკე გვექნება ლაპარაკი.

ზევით აღვნიშნეთ შეხედულება პარტიის წარმომადგენელთა სახელმწიფოზე, საერთო ამომრჩევლობაზე და აშკარა ვყავით, რომ სწორედ ამ აზრთა ქადაგებით მოიპოვა პარტიამ სიმპატია და პატივისცემა ხალხისა. მაგრამ როცა გედმა ამ პროგრამით მართლა შეჰქმნა პარტია, როცა ხელთ იგდო ძალა, რომლის გამგედაც თვითვე გახდა, საჭიროდ ნახა თვითვე დასდგომოდა იმ „რეალურ პოლიტიკას“, რომლის სიფუყეს და მატყუარობას ამტკიცებდა მთელის 15 წლის განმავლობაში. რაკი პარტია შექმნილი იყო, „საგიტაციო“ ფრაზები აღარ მიაჩნდა საჭიროდ, მარტო „უარ-ყოფითი“ პროპაგანდა აღარ აკმაყოფილებდა. ნელ-ნელა პარტია გედთან ერთად დაადგა წყნარ, წესიერ შემოქმედებით მუშაობის გზას. მაგრამ ბურჟუაზიულ ნიადაგზე მუშაობას, დემოკრატიულ პოლიტიკას თავისი ლოლიკა აქვს და ამან ნელ-ნელა, მისდა შეუმჩნევლად, დაიმორჩილა გედი და იმისი პარტია. გედი, რომელიც 1880 წლამდე საშინლად ჰკიცხავდა საერთო ამომრჩევლობის სისუსტეს, ვითარცა მუშათა განმათავისუფლებელ სახსარს, უცებ იცვალა და სწორედ ეს მისგანვე განკიცხული სახსარი „მხოლოდ ხალხის მოსატყუებლად გამოგონილი“ მისისავე თქმით, იქნა გამოცხადებული მუშათა განთავისუფლების საუკეთესო და ერთ ერთ სახსრად:

„მხოლოდ ლეგალურის იარაღით საერთო საარჩევნო უფლებით,—ამბობს მოჰყვანებული გედი, კოლლექტივისტთა მხედრობა აუცილებლად (დედანში—ფატალურად) გახდება მფლობელად რესპუბლიკისა, და მაშინ იგი იმოქმედებს არა ზოგიერთთა სასარგებლოდ, როგორც ეს წარსულ საუკუნის იმ რევოლიუციამ ჰქმნა, რომელსაც თქვენ ჰქომაგობთ, არამედ ყველა მუშების სასარგებლოდ. ეს რესპუბლიკა გამოაცხადებს ნაციონალურ საკუთრებად რკინის გზებს, მადნებს, ქარხნებს და მიწას“.*)

ამ რიგად, ის გედი, რომელიც ამტკიცებდა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ყოველ ლეგალურს სახსრის სისუსტეს სოციალურ საკითხის გადაწყვეტაში, ეხლა თითონ იმეორებს იმ სიტყვებს, რომელსაც წინად მკაცრ კრიტიკას უშვრებოდა. აქ არ შევჩერდებით იმის განსახილველად, თუ რამდენად ტყუილი ან ყალბია ის აზრი, ვითომ მხოლოდ ლეგალური სახსარი — საერთო ამომრჩევლობა—იყოს საკმარისი ბურჟუაზიისათვის სახელმწიფოებრივ ძალის ხელიდან გამოსართმევად. თვითონ გედმა აუგო წესი იმ ბურჟუაზიულ დემოკრატიულ ყოვლის მომრჩენელ მალამოს, რომელსაც შეცდომით საერთო ამომრჩევლობა ჰქვია და რომელიც ნამდვილად არის მეფობა, შემოუფარგლელი მონარქია, მქონეთა და მხოლოდ მქონეთა. აქ გვსურს მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ ზემოდ მოყვანილი პატარა ფრაზა შეიცავს სარევოლიუციო ბრძოლის სრულ უარყოფას. მართლაც, რას ნიშნავს ფრაზა: მხოლოდ ლეგალურ იარაღით—საერთო საარჩევნო უფლებით—კოლლექტივისტთა მხედრობა გახდება აუცილებლად მფლობელად რესპუბლიკისა“? რას ნიშნავს ეს მხოლოდ? თუ მართლა მხოლოდ ამ ლეგალურ სახსარს შეუძლია პარტიას გამარჯვება მოუხვეჭოს, ნუ თუ აქედან ცხადად ის დასკვნა არ გამოდის, რომ პარტია აუცილებლად ლეგალურ ნიადაგზე უნდა დარჩეს და ლეგალურ ნიადაგზე მოქმედებდეს? თუ მართლა მხოლოდ ამ სახსარს შეუძლია ჩაუგდოს „კოლლექტივისტთა მხედრობა“ რესპუბლიკის მფლობელობა ხელში, ნუ თუ აქედან აშკარად ის დასკვნა არ გამოდის, რომ სხვა სახსრის ხმარება ან მავნებელია ან მეტი? თუ მართლა მხოლოდ ამომრჩევლობაში გამარჯვებაზე არის დამოკიდებული სოციალდემოკრატიის გამარჯვება, ნუ თუ აქედან ის დასკვნა არ გამოდის, რომ ერთად-ერთი პრაქტიკული მიზანი სოციალდემოკრატიისა პარლამენტში თავის წარმომადგენელთა რიცხვის მომატება უნდა იყოს? ნუ თუ არ უნდა უარვყოთ რევოლიუცია და სარევოლიუციო ზომები, არ უნდა ვებრძოლოთ ხალხში მათი საჭიროების ჩანერგვას, თუ კი შესაძლებელია სოციალურ საკითხის მხოლოდ კენჭით გადაწყვეტა? როგორც სოციალისტნი, ჩვენ ხომ ყოველ სისხლის ღვრის წინააღმდეგნი უნდა ვიყოთ და თუ საჭირო არ არის რევოლიუცია, რაღაზე ვლაპარაკობთ მასზე? სისხლის ღვრის მომხრედ კაცი ხელოვნების სიყვარულით ხომ არ გახდება. სისხლის ღვრა, რევოლიუცია, მოქალაქობრივი ბრძოლა მხოლოდ მაშინ შეიძლება გაამართლოს კაცმა, როცა ასეთ მოქმედებაში ისტორიულ აუცილებლობას ხედავს და თუ კი ვინმე რევოლიუციაში ისტორიულ აუცილებლობას არა ხედავს, თუ კი სოციალურ საკითხის ლეგალურად, კენჭით გადაწყვეტა შესაძლებლად მიაჩნია, ეჭვი არ არის, ყოველის ღონისძიებით უნდა ებრძოდეს ყოველ სარევოლიუციო პროპაგანდას, ყოველ სარევოლიუციო აგიტაციას, ერთის სიტყვით ყველა იმას, რაც ჰქმნის ხალხის სარევოლიუციო ტემპერამენტს, რაც პროლეტარიატს ბრძოლის, შურისძიების „გუნებაზე“ აყენებს.

ლიბერალური ბურჟუაზია, რომელსაც ბრტყელ-ბრტყელ სიტყვების ხმარება სოციალდემოკრატიაზე ნაკლებ არ უყვარს, სწორედ ასე იქცევა. იგი იმდენად სოციალიზმის იდეას კი არ ებრძვის, რამდენადაც სარევოლიუციო მოქმედებას. სოციალიზმზე აკადემიურ ტონით ლაპარაკის წინააღმდეგი არ არის ბურჟუაზია. სოციალიზმზე რამდენიც გინდათ, იმდენი ილაპარაკეთ, რამდენიც გინდათ, იმდენი იფიქრეთ, ოღონდ ნურაფერს ნუ მოიმოქმედებთ იმის განსახორციელებლად. ასე იქცევა ლიბერალური, რადიკალური ბურჟუაზია და იგი თავის თვალით ხედვის მხრივ ლოღიკურად მართალიც არის. მაგრამ განა სოციალისტს შეუძლია ასე მოიქცეს? რა ასხვავებს ასეთ სოციალისტს რადიკალურ ბურჟუაზიისაგან? არაფერი, გარდა სახელისა. მართალია, შეიძლება გვითხრან, რომ რევოლიუციონერობა ამა თუ იმ მოძღვრებისა იმაზე კი არ არის დამოკიდებული, ღიარებს თუ არა ეს მოძღვრება ძალის ხმარებას. დიახ, შეიძლება და ამ ბოლო დროს სოციალდემოკრატიამ იხმარა კიდეც ეს არგუმენტი, რომ გაემართლებინა უარყოფა სარევოლიუციო ტაქტიკისა. უპირველეს ყოვლისა შეეცადნენ დაემყარებინათ განსხვავება რევოლიუციასა და აჯანყებას შორის (Révolution, Rebellion). რევოლიუცია შეიძლება წყნარი, მშვიდი იყოს, რევოლიუცია შეიძლება უომრად, უბრძოლველად მოხდეს და ჩვენც ამისთვის რევოლიუციონერები ვართო. ხოლო რაც შეეხება აჯანყებას, იგი ყოველთვის ომს, ბრძოლას, სისხლის ღვრას წარმოადგენს და ჩვენც ამისთვის აჯანყების წინააღმდეგნი ვართო. განა ეს მართლა ასეა? განა სოციალიზმის რევოლიუციონური მხარე მხოლოდ იმაში იხატება, რომ იმისი უკანასკნელი მიზანი სრულიად ეწინააღმდეგება არსებულ წეს-წყობილებას? განა საკმარისია, ვინმე თეორიულად მიემხროს ისეთ იდეალს, რომელიც არა თავსდება თანამედროვე წეს-წყობილებაში, რომ იგი მართლა რევოლიუციონერი გახდეს? ამ შემთხვევაში ტოლსტოი ხომ რევოლიუციონერი იქნება, რადგან იმისი იდეალი სრულიად არ ეთანხმება არსებულ წეს-წყობილებას. ჩვენ რომ ამ რევოლიუციისა და აჯანყების *) კატეგორიებად დაყოფის ნიადაგზე დავდგეთ, თუ-კი ლოღიკას არ ვუღალატებთ, იძულებულნი გავხდებით აჯანყებად გამოვაცხადოთ და უარვყოთ საფრანგეთის „ჟაკერია“ (გლეხთა აჯანყება), ანაბაპტისტთა ბრძოლა ერთობაზე დამყარებულ წეს-წყობილების მოსაპოებლად, ჰოლლანდიის დიდი რევოლიუცია, რომელიც ერთის საუკუნით წინ უძღოდა ინგლისის დიდ რევოლიუციას, ინგლისის რევოლიუცია, რომელიც ერთის საუკუნე-ნახევრით წინ უძღოდა საფრანგეთის დიდის რევოლიუციას და საფრანგეთის რევოლიუცია, რომელიც ერთის საუკუნით წინ უძღოდა რუსეთისას, რომელსაც ის აძლევს გამგე პრინციპებს—მაგრამ „რეალურ პოლიტიკის“ ნიადაგზე შემდგარ მარქსისტებს ყველა ეს კითხვები არ აწუხებთ. ისინი ხომ უტოპისტები არ არიან. თუ-კი პრაქტიკულ გამარჯვებას მოელი, რაღა უნდა იზრუნო დოქტრინის, რწმენის წმინდ

---

*) იხ. „ცნ. ფურ.“ № 3020.

*) იხ. გედის სიტყვა პარლამენტში 1896 წ. 25 ივნისის კრებული გედის საპარლ. სიტყვათა quatre ans de lutte de classes.

*) იხ. ამის შესახებ. E. Ferri Le socialism et la science positive.

ხცნო ეს აზრი და მოხსენება სამინისტროს სამკურნალო დეპარტამენტში გაიგზავნა. თუ იქაც ასევე შეხედეს საქმეს, გამოსყიდვა გაადვილდება. კრებაზე სთქვეს, რომ თუმცა ქალაქს ძვირად დაუჯდება (15 მილიონამდე) ამ საქმის განხორციელება, მაგრამ არ უნდა შესდგესო. მომავალ ხუთშაბათს ამგვარივე კრება მოხდება მტკვრის მარჯვენა ტოტის ამოვსების საქმის განსახილველად.

◆ **ახალი ცირკულიარი**. ტფ. გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორმა აცნობა ტფ. ქალაქის გამგეობას უმაღლეს სამოსწავლო მთავრობის ცირკულიარის შინაარსი. ცირკულიარით იმ კანდიდატების შესახებ, რომელნიც უნდა დაინიშნონ პირველ დაწყებით სკოლების მასწავლებლებად, სათანადო მთავრობამ ცნობები უნდა მოსთხოვოს საგუბერნიო ადმინისტრაციას რამდენად საიმედონი არიან ეს კანდიდატები. თანახმად ამ ცირკულიარისა, სახალხო სკოლების დირექტორი სთხოვს მოურავს, მიაწოდოს დაწვრილებითი ცნობები სამასწავლებლო ადგილებზე ჩარიცხულ კანდიდატების შესახებ. ამის შემდეგ ადმინისტრაცია შეჰკრებს ცნობებს.

◆ **ქუჩების განათება**. ამ ჟამად ტფ. ქალაქის გამგეობასა და ტრამვაის დირექციას შორის მოლაპარაკებაა. გამგეობა სთხოვს დირექციას დაუთმოს ელექტრონის ძალა ქუჩების გასანათებლად. განზრახულია ფარნები ტრამვაის ბოძებზე გამართონ.

◆ **რკინის გზები**. გზათა სამინისტრომ ნება დართო ადგილობრივ რკინის გზების საბჭოებს ზოგიერთი საქმეები თვითონ გადასწყვიტონ ხოლმე საბოლოოდ. მაგალითად, შეუძლიანთ 3 წლით ხელშეკრულობა დასდონ სტამბებთან, დაიქირაონ სახლები, მუშათა არტელები, გახსნან სახელოსნოები და სხვა. სამინისტრო სწერს, შეაყენეთ ყველა ამგვარ საქმის გამოგზავნა პეტერბურგშიო.

◆ **ბაუერის განკარგულება**. ქართლის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით ხიდისთავის საბოქაულოში დაწესდა ახალი თანამდებობა ხიდისთავის ბოქაულის თანაშემწისა, რომლის შესანახად ხიდისთავის საბოქაულოს გადასახადი გაეწერა.

◆ **ბრძანება პეტერბურგიდან**. ამიერკავკასიის რკინის გზის გამგეობას პეტერბურგიდან ცნობა მოსვლია პირველ იანვრიდან სახლის ქირასა და ჯამაგირების მომატებულ ფულს ნუ გამოარიცხავთ საპენსიო კასისთვის, რადგან ეგ საკითხი ამ ცოტა ხანში გადასწყდებაო. როდესაც რკინის გზის მოსამსახურეებს ჯამაგირებს უმატებენ, სამ თვეს ამ მომატებულ ფულს საპენსიო კასისთვის ურიცხავენ.

◆ **სამრეწველო სიები**. სამრეწველო სიების შედგენა უკვე დაამთავრა ტფ. სახაზინო პალატამ. ამ სიებში სულ შეტანილ იქნა [illegible]15 კაცი.

◆ ბაღებში გამართულ პატარა ბუფეტების მოიჯარადრენი შარშან და წელს ბაღების დაკეტვის გამო ძლიერ დაზარალდნენ. მოიჯარადრენი სთხოვენ ქალაქის გამგეობას, იღონოს რამ ბაღების გაღებაზე, თორემ იჯარას ვერ გადავიხდითო.

◆ როგორც ოფიციალურ ცნობებიდან სჩანს, თიანეთის მაზრის არდოთის, ახიელის, ბარისახოს, ბაცალიგოს, დულის, მაღაროსკარის, მაისტის, ხოშკის, სახანოს, შატილის და შუაფხოს სოფლების საზოგადოებათ 1905 წლის განმავლობაში დაუხარჯავთ სასოფლო საქმეებზე: სასულიერო პირების შესანახად—1473 მანეთი, სკოლებისა – 600 მანეთი, სასოფლო კანცელარიების და მოხელეების შესანახად—2315 მანეთი, გზების გასაკეთებლად—860 მანეთი და სხვა და სხვა წვრილი ხარჯი – 560 მანეთი.

◆ სიღნაღის მაზრის მაჩხაანის სოფლის საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს, სასოფლო სამეურნეო თანხიდან სესხი მიეცეთ თესლის შესაძენად.

◆ ტფ. ქალაქის გამგეობამ, სიცხეების მოახლოვების გამო, დაავალა სახლის პატრონებს, რაც შეიძლება სუფთად იქონიონ ეზოები და სახლების წინ ქუჩები.

◆ ნაფიცმა ვექილმა გ. ფ. იუზბაშიანცმა სთხოვა ქალაქის მოურავს კანდიდატად ჩარიცხონ იგი ქალაქის იურისკონსულტის თანამდებობაზე. ეს ადგილი ამ ჟამად თავისუფალია, რადგან ყოფილი იურისკონსულტი ტერ-სტეფანიანცი კარგა ხანს ავადმყოფობის შემდეგ დაბრმავდა.

◆ 8 მარტს, დავიდოვის ქუჩაზე 5 შეიარაღებული კაცი შეუვარდა ანნა მირზოევის ქალს სახლში. უცნობებს ვერაფრის წაღება ვერ მოუხერხებიათ.

◆ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის უფროსის თანაშემწე ბეშჩანიუკი დაინიშნა ნოვოროსიისკის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის უფროსად.

◆ მე-257 სარეზერვო ფოთის პოლკიდან, რომელიც ქ. ნახიჩევანშია დაბანაკებული, გაქცეულა სალდათი პავლე გეორგაძე.

შეცდომის გასწორება. 9 მარტის „ცნ. ფურც.“-ის მეთაურში ერთი მეტად თვალსაჩინო შეცდომა შეპარულა. ქვემოდან 12 სტრიქონში დაბეჭდილია: „შარშან თავად აზნაურობას საჭიროდ მიაჩნდა მშვიდობიანობის აღსადგენად საქართველოში ავტონომიურ თვითმპყრობელობის შემოღება“. უნდა იყოს: „ავტონომიურ თვითმმართველობის შემოღება“ და სხვა.

ქუთაისის ამბები

◆ ამას წინად გატყობინებდით, რომ შავი ქვის საბჭოს თავმჯდომარე გ. ფ. ზდანოვიჩი და მისი მოადგილე ი. გ. აბაშიძე დროებით მათგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო თავის მოვალეობას ვერ ასრულებენ მეთქი. თავმჯდომარის მოვალეობას, საბჭოს არჩევით, ასრულებს ა. ი. გამრეკელი. დიდმა ხანმა გასტანა და საბჭოს საქმეებს დაეტყო უპატრონობა. რათა ლიტონ სიტყვაში არ ჩამომერთვას ეს განცხადება, ფაქტებს მოგახსენებთ: 1. შავი ქვის მრეწველთა საზოგადო კრებამ შარშან შემოდგომაზე გადასწყვიტა, რომ საბჭოს სხდომა თვეში ორჯელ მეტად არ უნდა მოხდეს. ეხლანდელი საბჭო უკანასკნელის თვის განმავლობაში შეკრებილა ექვსჯერ და, რასაკვირველია, ხშირმა კრებამ ჩვეულებრივზე სამჯერ მეტი ხარჯი გამოიწვია; 2. აწინდელმა საბჭომ, ა. გამრეკელის თავმჯდომარეობით, გადასწყვიტა საბჭოს ჭიათურაში გადატანა, თუმცა ამ საკითხზე შარშანდელმა საზოგადო კრებამ დიდხანს ითათბირა და იმ გზას დაადგა, რომ საკითხი საბოლოოდ მომავალმა კრებამ გადასწყვიტოსო; 3. ფოთში საბჭოს უნდა ამოერჩია ადგილი, რომელზედაც უნდა აშენდეს მუშების სადგომი. ამ ადგილის ამოსარჩევად წავიდა ფოთში მთელი საბჭო, ხუთის წევრისაგან შემდგარი იმ დროს, როცა ადგილის ამოსარჩევად ორი კაციც კმაროდა და ამ შემთხვევაში ფოთში წასვლის ხარჯი ნაკლები იქნებოდა; 4. საბჭომ საჭიროდ სცნო, რომ ჭიათურაში მუდამ ერთი წევრი ყოფილიყო და მართლაც რიგ-რიგად დადიან საბჭოს წევრები. იქნება ასეთი განკარგულება საბჭოსი საქმისათვის სასარგებლოდ იყოს, მაგრამ ასეთი განკარგულება არ ეთანხმება საზოგადო კრების გადაწყვეტილებას—ამ საგანზე კრებას ბაასი ჰქონდა და არაფერი ამ გვარი არ გადაუწყვეტია; 5. შარშანდელმა საზოგადო კრებამ შავი ქვის მრეწველობისამ სტიპენდიების თანხის გასადიდებლად ფუთობრივი გადასახადი $1/2$ კაპეიკის ნაცვლად $3/4$ კაპეიკამდის აწია და ამ ფულის მოლოდინში 3.000 მანეთის სტიპენდიები დანიშნა, იმ პირობით, რომ სტიპენდიები მარტო მაშინ განხორციელებულიყო, როცა ფული შემოვიდოდა. კრების ამ დადგენილებას საბჭოს თავმჯდომარე, ვიდრე ის გამართავდა საქმეებს, კიდევაც ასრულებდა, ხოლო ეხლანდელი საბჭო აჩქარებულა და უმეტესი ნაწილი სტიპენდიატებისა არა თუ თვიურად დაუკმაყოფილებია, არამედ ზოგისათვის ნახევარი წლისა და მეტის ხნის ხვედრი ფულიც კი მიუცია.

◆ ამას წინად ქუთაისში მოხდა ერთი ინციდენტი, რომელიც კარგად ასურათებს ქუთაისის მკვიდრთა მდგომარეობას ეხლანდელ უკუღმართ დროში. ოლქის სასამართლოში მსახურებს „სტოროჟად“ ვინმე მიხეილ ბულავკა (ნამდვილი გვარია). ამ ვაჟბატონს გადაკვრა მოსდომებია და თავის სურვილის შესასრულებლად ასეთ ხრიკისთვის მიუმართავს: შეხვედრია ქუჩაში ერთ ჩოხოსანს და პირდაპირ უთქვამს, საქეიფოთ დამპატიჟეო. როდესაც ჩოხოსანს ასეთი განცხადება გაჰკვირვებია, მ. ბულავკა დამუქრებია, თუ ჩემს სურვილს არ შეასრულებ, ვისაც ჯერ არს შევატყობინებ, რომ შენ ქუჩაში „ძირს ნიკოლოზს“ იძახდიო. ჩოხოსანს არ შეშინებია ასეთის მუქარისა და გაკადნიერებულ „პატრიოტის“ საქციელი უცნობებია იმის უფროსობისათვის, რომელსაც ბულავკა სასტიკად დაუსჯია ახალ დროის შანტაჟისათვის.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი, 9 მარტი. პანაშვიდს, რომელიც გადახდილ იქმნა სასულიერო აკადემიაში შმიდტის სულის მოსახსენებლად, დაესწრნენ რექტორი, ეპისკოპოსები—სერგი, ლეონიდი და კირიონი. ვვედენსკის გიმნაზიაში სამღრთო სჯულის მასწავლებელი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან, რადგან 20 თებერვალს პანაშვიდი გადაიხადა.

ფინლიანდიის ძირითადი კანონები სათათბიროს წარუდგინება.

სოც.-რევოლიუციონერთა კრებამ დაადგინა აქტიური ბოიკოტი გამოეცხადოს სახ. სათათბიროს.

აპრილში მოელიან საერთო გაფიცვას.

ლეონიდ ანდრეევი სწერს რომანს, რომელშიაც გვიხატავს როგორ შეიძულეს ფრანგებმა, რომელნიც ცნობილნი იყვნენ მონარქიის უზომო სიყვარულით, მონარხიული წესწყობილება და შეიყვარეს რესპუბლიკა.

პეტერბურგის წიგნის მაღაზიებში გაცხარებული ჩხრეკაა.

პეტერბურგი, 10 მარტი. „ნოვოე ვრემია“ იუწყება, უფლებრივ წესრიგის პარტიის საიმპერიო საბჭომ გადასწყვიტა 8 მარტის სხდომაზე დაუყოვნებლივ მიმართოს უმაღლეს მთავრობას სახელმწიფოში და იშუამდგომლოს ნუ დაამტკიცებენ ფინლიანდიის საქმეების შესახებ დანიშნულ კომისიის უკანასკნელ დადგენილებებს, რადგანაც სახელმწიფოს მთლიანობას საფრთხე მოელის ამ დადგენილებების დამტკიცებისაგანაო. დაუცადეთ სახელმწიფო სათათბიროს და იმას წარუდგინეთ გადასაწყვეტად ეს საკითხიო.—გზათა მინისტრს აზრად აქვს მთლად გააუქმოს წვრილმან დანაშაულისთვის გზებზე მოსამსახურეების ფულით დაჯარიმება. გადაწყვეტილია, ყველა რკინის გზებზე შემოიღონ ახალი სამხედრო მატარებლები, რომელნიც მუდამ დღე ივლიან და რომლებზედაც ჯარის კაცთა პატრულობა იქნება შემოღებული. პირველად ასეთი მატარებლები მოსკოვის მაზრის ლიანდაგებზე ივლიან.—პეტერბურგიდან ფინლიანდიას წავიდა გიორგი გაპონი. წასვლის წინადღით პეტერბურგის მუშათა განყოფილებაში მისი თავმჯდომარეობით სხდომა მოხდა ყველა მისს მიერ დაარსებულ ორგანიზაციების საქმეების ლიკვიდაციის შესახებ.—„სლოვო“ ამბობს, სასამართლოს წრეებში ასეთი აზრი განმტკიცდა, რომ ვიტტე ძლიერ მოიქანცა და ახლო მომავალში თავს გაანებებს პრემიერ-მინისტრობასო. მისს მემკვიდრედ კოკოვცევს ასახელებენ.

პრესსა

გაზ „აჰრაჯი“ (№ 42) სწერს:

„ჩვენ დიდი ხანია შევწყვიტეთ მიუდგომელ აზრის მოთხოვნა სომხების შესახებ ქართულისა და რუსულის ასოებით ნაბეჭდ ქართველთა გაზეთებისაგან. უმსგავსობა იქნებოდა ამგვარი მოთხოვნილება იმ პრესსისაგან, რომელსაც მაღალ იდეების ნიღაბი აქვს აფარებული და იმავე დროს გაჟღენთილია შოვინიზმით. მხოლოდ ერთი რამ გვაიძულებს ხელახლად ვიკისროთ სამწუხარო მოვალეობა—რამდენიმე სიტყვა გამოვსთქვათ ამ პრესსის შესახებ.

სომეხ-თათართა კრებაზე, ერთმა სომეხ დელეგატთაგანმა ერთი სიტყვა წარმოსთქვა „დაშნაკცუტუნის“ შესახებ, და აჰა მთელმა ქართულმა პრესსამ ერთი კვირა იქნება, რაც ამ დელეგატის ნათქვამი თავის მეცადინეობის საგნად გახადა და სცვლის მას სხვა და სხვა ნაირად. სომეხ დელეგატს ჰქონდა უფლება ეთქვა ის, რაც სურდა. მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ მისი აზრი სწორია. სხვა საქმეა, როცა იმ პარტიისაგან, რომლის შესახებაც იგი ლაპარაკობდა, სრული მინდობილება ჰქონოდა, დამდგარიყო მისის რწმენის პათარგმნელად და ვექილად. არა გვგონია ქართული გაზეთები იმდენად გულუბრყვილონი იყვნენ, რომ მათ ეს უბრალო ჭეშმარიტება არ გაეგებოდეთ. ჩვენ არა გვჯერა აგრეთვე, რომ ისინი ვერ ხედავდნენ, თუ რა სიმდაბლეს იდენენ, როცა ისინი „დაშნაკცუტუნის“ როლის დამახასიათებელ სიტყვებს რყვნიან და ამახინჯებენ. არა, ქართულმა გაზეთებმა ყოველივე ეს ძალიან კარგად იციან, მაგრამ უნდათ თავი გულუბრყვილოდ მოგვაჩვენონ, რომ ამითი ისეთი არა საკადრისი შარი მოსდონ „დაშნაკცუტუნს“, როგორც მაგ. გაზეთებმა: „კავ. უტრო“-მ, „სოვრ.“-მა, „პატარა გაზეთმა“ და „ცნობ. ფურცელმა“. ჩვენ გვაკვირებს მხოლოდ ერთი რამ, როგორ შეიძლება, მთელმა პრესსამ, მთელი კვირა იმისთანა შარებს მოანდომოს და მასთან ისეთ დროს, როდესაც პრესსას ბევრი უფრო საყურადღებო საქმე აქვს გასაკეთებელი?!..

დაილოცოს, ღმერთო, შენი სამართალი! რას არ გაგვაგონებ ხოლმე ხანდისხან... სომხური გაზეთები ჩვენ გვაკვირვებენ—შოვინიზმით ხართ გაჟღენთილიო! მათი პრესსა მხოლოდ შოვინიზმია; მათი ინტელიგენცია, პრესსა მხოლოდ ვიწრო ნაციონალურის საქმეებითაა გატაცებული. ეს ორი წელიწადია რუსეთში უდიდესი ამბები ხდება, მათ-კი თათრებთან ბრძოლისა და პოლემიკის მეტი არა ახსოვთ-რა და ჩვენ თუ ორი სიტყვა ვთქვით, თურმე ისიც შევცოდეთ. ბ-ნი ხატისოვი და თვით ის ჯგუფი, რომლის მოსარჩლედ იგი გამოვიდა, იმათ სრულიადაც არ ღირან, რომ ყველა სხვა საქმეები მათთვის დაგვევიწყებოდა. მართლაც, „ცნ. ფ.“-ში ხატისოვი და მისი გამოლაშქრება მხოლოდ გაკვრით გვქონდა აღნიშნული. ჩვენ გვაინტერესებდა ერთი რამ: როგორის აზრისაა სომხის მოწინავე ნაწილი ბ-ნ ხატისოვის „რეჩი“-ს შესახებ. ახლა, როგორც გავიგეთ, ბ-ნ ხატისოვს თურმე ყოველ მხრიდან მადლობა და მილოცვა მოსდის, „ჰარაჯ“-საც მეტად მოსდის გული, როცა ბ-ნ ხატისოვის სიტყვას ცუდათ იხსენიებენ. მაშასადამე, ხატისოვის სიტყვა და გამოსარჩლება სომხის ბურჟუაზიას და მის იდეოლოგებს მოსწონებიათ. ჩვენც მეტის გაგება არ გვინდოდა. გვაკვირდა მხოლოდ, სად „დაშნაკცუტუნ“-ის სოციალიზმი და მშრომელ ხალხის ინტერესების დაცვა და სად ხატისოვის „ორთავიან არწივის“ პოლიტიკის ქება-დიდება! ახლა ესეც აღარ გვიკვირს...

რაც შეეხება იმ მაგალითებს, რომელსაც სომხური გაზეთი პოლემიკის დროს ხმარობს და რომლითაც ქართულ პრესსას ამკობს (მაგალითად „სიმდაბლე“, „არა საკადრისი შური“ და სხვა), მკითხველისთვის მიგვინდვია განსაჯოს, რამდენად საკადრისია ასეთის სიტყვების ხმარება.

შეუწყნარებელი გულგრილობა ქალაქის თვითმმართველობისა

ამ დღეებში „ცნ. ფ.“-მა და მასთან ერთად სხვა გაზეთებმა აღნიშნეს ის უკიდურესი გასაჭირი, რომელშიაც იმყოფებიან ტფილისში ასობით და ათასობით სამკურნალოდ ჩამოსული ავადმყოფნი, რომელთაც პირდაპირ შეკრული აქვთ გზა საავადმყოფოში შესვლისა. ერთად-ერთი მიხეილის საავადმყოფო, მთელის ამიერ-კავკასიისთვის დაარსებული, სავსეა თვით ქალაქ ტფილისის ავადმყოფებით და ამიტომ ამიერ-კავკასიის სხვა ადგილებიდან ჩამოსულნი ავადმყოფნი მიხეილის საავადმყოფოში სამკურნალოდ, რომელიც სწორედ მათთვის არსებობს, ასობით და ათასობით რჩებიან

შენახვაზე? ვერაფერი სანუგეშო მარტო პრინციპების სიწმინდის შენახვა, *) ამბობს გედის ერთი ცნობილი ამხანაგი შ. ზონიე. ერთის სიტყვით, თუ სადმე ან რამეში პრინციპებმა, რწმენამ, დოქტრინამ შეგაწუხოს, ნუ გეშინია, უკუ აგდე იგი, ტალახშიც ამოსვარე, მხოლოდ წამით მაინც მიაღწიე შენ სურვილს, გაიმარჯვე, ეს დოქტრინასა და რწმენაზეც უფრო მაღლა სდგას. ამ ნაირ მოქმედებას, ისე როგორც იეზუიტების ორდენთა მოქმედებას, შეიძლება მართლა მოჰყვეს გამარჯვება, მაგრამ ამან არ უნდა დაგვავიწყოს, რომ, როგორც იეზუიტთა გამარჯვება ქრისტიანობის ნიადაგზე არ აღნიშნავდა გამარჯვებას ქრისტეს პრინციპებისა, ისე სოციალისტების გამარჯვება არა სოციალისტურ ნიადაგზე, არა ნიშნავს სოციალიზმის პრინციპების გამარჯვებას. არც შეიძლება ამ გვარად მოპოვებული გამარჯვება ხანგრძლივი იყოს. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ უპირატესობა, რომელიც მოიპოვა სოციალდემოკრატიამ მუშათა მოძრაობაში, ვერ შეირჩინა და ეს არც უნდა გაგვიკვირდეს. დღეს იგი ძირიანად უარჰყოფს ყველა იმას, რაც თითონ ჩანერგა ხალხის გულში.

ზევით ხომ ვნახეთ, რას ამბობს ეხლა პარლამენტის კულისებში ჭკუა ნასწავლი გედი თავის პარტიის პრაქტიკულ მისწრაფებაზე. ხომ ვიცით აგრეთვე, რას ფიქრობდა იგი სახელმწიფოზე, ვიცით ისიც, რომ იგი ესწრაფოდა ისეთ საზოგადოების განხორციელებას, რომელიც უნდა ყოფილიყო დამყარებული ინტერესთა გარმონიაზე და რომელსაც ყოველი ცენტრალური ძალ დამტანებელი ორგანიზაცია მეტად უნდა გეხადა. ეხლა-კი ის იდეალი, რომელსაც იგი გვიხატავს სასურველ და სათაყვანო იდეალად, ძლიერ წააგავს თანამედროვე, კერძო საკუთრებაზე დამყარებულ სისტემას, რადგან გედის სოციალისტური სისტემა, ისე როგორც თანამედროვე კაპიტალისტური წეს-წყობილება, დამყარებულია აღებ-მიცემობის კანონზე (Законъ спроса и предложенія), ამ კანონმა, გედის აზრით, უნდა შეიტანოს წესიერება სოციალისტურ საზოგადოების წევრთა შორის არსებულ ეკონომიურ ურთიერთობაში.

„თუ თავიდანვე აღზრდილი ჩვეულება შრომისა და აღებ-მიცემობის კანონი საკმაო არ იქნება ზოგიერთ ისეთ რამის გასაკეთებლად, რაც არავის არ იზიდავს, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ უძლურნი დავრჩებით, ვინაიდან ჩვენ ხელთ იქნება კიდევ ძალ-დატანების უფლება (რეკვიზიცია)“ *).

ჩვენ ვიცით ზემო მოყვანილ სიტყვებიდან, რომ ბურჟუაზიის ძალ-დატანებაზე უარი სთქვა პარტიამ, გულ-კეთილობა მაინც გამოიჩინა და ბარემ მუშების ძალ-დატანებაზეც ეთქვა უარი. მაგრამ არა. ბურჟუაზიის ძალ-დატანებას თვით კაპიტალისტურ წესწყობილებაშიაც უარჰყოფს პარტია; მუშების მხრივ ძალ-დატანებას კი ინახავს თვით სოციალურ წეს-წყობილებაშიაც. ეგება ვინმემ იფიქროს, რომ ისეთი საშინელი სიტყვა, როგორიც რეკვიზიციაა, რომელსაც თანამედროვე ბურჟუაზიულ წეს-წყობილებაც კი უკიდურესს ზომად სთვლის, შემთხვევით, უცაბედად ან შეცდომით იხმარა გედმა. რათა ამისთანა შეცდარი აზრი არავის მოსვლოდა თავში, გედმა ახსნა, რომ თუ „ჩვენ იძულებულნი ვიქნებით და რეკვიზიციას მივმართავთ, ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ ჩვენ ახალ რამეს ვიგონებთ, ჩვენ ამით პატარა სესხს ავიღებთ თანამედროვე საზოგადოებისაგან, რადგან ეს რეკვიზიცია ჩვენ კი არ გამოგვიგონია, იგი ბურჟუაზიის კოდექსში იმყოფება“.*) ეს „რეკვიზიციით“ სავსე იდეალი რომ კიდევ უფრო მომხიბვლელი და სიმპატიური გეეხადით, გედის მოწაფემ—შოვენმა, რომელიც თავის მასწავლებელთან ერთად დეპუტატად იყო 1893—96 წ., შემდეგი გამოაცხადა: „ჩვენის გამარჯვების პირველ დღეს, ჩვენი პირველი მოვალეობა იქნება: დავხვრიტოთ ყველა ანარქისტები, რადგან ისინი რეაქციონერები არიანო.**)

სხვისი გამო არ ვიცით, და ჩვენ კი ძალიან მოგვწონს ეს სოციალისტური იდეალი, სადაც სოციალურ ორგანიზმის წევრთა შორის არსებული ურთიერთობა მოწეს-რიგებული იქნება ერთის მხრით აღებ-მიცემობის კანონით, მეორეს მხრით——რეკვიზიციით, ხოლო მესამე მხრით—სოციალისტთა დახვრეტით. ამისთანა რამის მოგონებას უფრო ღრმა და გამჭრიახი ჭკუა უნდა, ვიდრე „კონსტიტუციონალურ თვითმპყრობელობის“ გამოგონებას.

აჰა, ჩვენი ნაცნობი „მემკვიდრე“ 1871 წ. „ცეცხლის წამკიდებელთა“ 1882 წელს, როგორც ეს ზევით ვნახეთ, ანარქისტთა ყუმბარებსაც კი ეთამაშებოდა, ხოლო როცა 1893 წ. პარლამენტში მოჰყვა, „სახელმწიფო მოღვაწედ (L'hommu d'etat, როგორც მარატი ამბობდა) დაისახა თავი, „აგიტაციის“ და „რევოლიუციონურ ფრაზებს“ თავი დაანება. სად „რეალური პოლიტიკა“, სად „სახელმწიფო მოღვაწე“ და სად აღგზნებულ ცეცხლით და გრძნობით სავსე სიტყვები მესამოცდა-ათე წლებისა! რა საკადრისია. ეს ვაჟბატონები სულ იმას გვეუბნებოდნენ, რომ სოციალიზმის საკითხი კაბინეტის, თეორიის მიდამოდან უნდა გადავიდეს ქუჩებში ბრძოლის ველზედაო, პრაქტიკულად კი მათ ქუჩებში, ბრძოლის ველზედ, სისხლში შობილი სოციალიზმი სალონებსა და პარლამენტის კულისებში გადაიტანეს.

„ფრთხილად იყავით!—მიმართა გედმა საფრანგეთის ბურჟუაზიას,—ერთ დღეს რომ სოციალიზმი დაიღუპოს, თქვენ დარჩებით უმფარველოდ და კერძო პირთა რეპრესიებისა და შურის-ძიებისაგან ველარაფერი გიხსნით. ჩვენ შევადგენთ სწორედ უდიდეს საზოგადოებას მრეწველობის ფეოდალთა ცხოვრების დაზღვევისას, რადგან ჩვენ ვასწავლით პროლეტარიატს, რომ კოლექტივური განთავისუფლება შეიძლება მოხდეს მხოლოდ პოლიტიკურ მოქმედებით. თქვენთვისვე უარესი იქნება, რომ პროპაგანდა და ორგანიზაცია სოციალიზმისა შეჩერდეს დროებით, რადგან მაშინ თქვენ პირისპირ შეხვდებით დაგუბებულ სასოწარკვეთილებას და ზიზღს, რომელთა გადმოხეთქას ხელს არაფერი შეუშლის.“ *)

ეს სიტყვები გედმა წარმოსთქვა პარლამენტში, ვითარცა შეერთებულ სოციალისტურ პარტიის წარმომადგენელმა. მართალი მოგახსენოთ, სიტყვას ველარ ვპოულობ აზრის გამოსახატავად, როცა ამისთანა რამე გესმის სოციალდემოკრატიის უკეთეს წარმომადგენლისაგან. ნუ თუ ნება არა გვაქვს ამ ოფიციალურ დოკუმენტიდან გამოვიყვანოთ ის დასკვნა, რომელიც ლოღიკურად გამოდის? ნუ თუ ამ სიტყვებით გედმა აშკარად არ აღიარა, რომ ბურჟუაზია დაინტერესებულია ხელი შეუწყოს სოციალდემოკრატიის ზრდას, რადგან სოციალდემოკრატია იცავს „მრეწველების ფეოდალებს“ ხალხურ ზიზღის, სიძულვილის გრიგალისაგან? ეს არის სოციალისტურ პარტიის დანიშნულება, ამ გვარ პროპაგანდით უახლოვებენ ფრანგი მარქსისტები მუშას „აჯანყებულის ტიპს“? ხალხის ზიზღი და სიძულვილი ბურჟუაზიისადმი, მჩაგვრელთა და მყვლეფელთადმი შეგუბებულა, ზღვის მორევად ქცეულა. ერთი წვეთი კიდევ და ის იგრიალებს, რომ გადარეცხოს დედამიწის პირიდან სისხლი და ცრემლი, მონობა და ჩაგვრა, სილატაკე და ვაგლახობა, მაგრამ ამ მჩაგვრელ ბურჟუაზიასა და დაჩაგრულ ხალხს შორის სოციალდემოკრატია დამდგარა, რომელსაც თავის მიზნად ის გაუხდია, რომ ამ ზიზღის და სიძულვილის ტალღების გადმოხეთქას ხელი შეუშალოს. განა შეიძლება, რომ კაცმა, თუ გინდ იგი უკიდურესი დიალექტიკოსი იყოს, ნახოს რამე გედის ზემოდ მოყვანილ სიტყვების გასამართლებლად? თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რა პირობებში იყო წარმოთქმული ზემო ნათქვამი სიტყვები, ამ სიტყვებს კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა: გედმა ჯერ კარგად დააშინა „თავ-მოკვლეპილთ და ლიპიანთა“ კრება ანარქიზმის მოჩვენებით და მერე წამოაყენა თავისი პარტია ამ ვაჟბატონთა საწყალ თავებისაგან მეხთამრიდ იარაღად. არ ვიცით, მკითხველი რა დასკვნას გამოიყვანს ამ ფაქტიდან, ჩვენ კი ამ სამარცხვინო ვაჭრობის მიზანი ასე როგორ გვესმის: „ჩვენ გიხსნით თქვენ,—უნდოდა ეთქვა გედს ბურჟუაზიის წარმომადგენელთათვის,—„ანარქიზმის გრიგალისაგან“, ხოლო თქვენ თქვენის მხრივ დაგვანებეთ თავი, ხელს ნუ გვიშლით, ჩვენი საქმე როგორც გვინდა, ისე წავიყვანოთო“.

რამდენად ყველა ეს კეთილშობილურია, რამდენად იგი რევოლიუციონურ ძალის და გრძნობის გამომხატველია და რამდენად შეჰფერის ამ გვარი ქცევა პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლის წინამძღოლს და ხელმძღვანელს—ამისი გადაწყვეტა თვით მკითხველისათვის მიგვინდვია აქ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ჩვენ ძლიერ გვაკვირვებს, რათა სწყინს სოციალდემოკრატიას, როცა იმაზე ამბობენ, რომ იგი ასუსტებს პროლეტარიატის სარევოლიუციო ინსტიქტს, აქუცებს პროლეტარიატის სარევოლიუციო მოთხოვნილებებს და მით ხელს უშლის სწორედ იმ „შეგუბებულ ზიზღისა და შურის ძიების გადმოხეთქას“, რომელზედაც თვით გედი ლაპარაკობდა თავის საპარლამენტო სიტყვაში.

ქ. თარ—იანი

---

*) იხ. Histoire des lourses du travail-ს წინასიტყვაობა sorel-ისა.

*) იხილე უკვე აღნიშნული სიტყვა იმის საპარლამენტო სიტყვათა კრებულში.

*) იხ. ხსენებული კრებული საპარლამენტო სიტყვათა.

**) იხ. E. Pouget Variatiovs guesd'stes p. 36 ეს ფაქტი აღნუსხული აქვს აგრეთვე დ. ნიევენგეის თავის წიგნში Le socialisme en devger.

*) სიტყვა 18 ივნისის 1896 წ. იხ. მისი საპარლამენტო სიტყვათა კრებული.

ქუჩაში. ამ საქმის ასაწონ-დასაწონად რამდენჯერმე მომხდარ ექიმთა კერძო კრებებზე გადაჭრით სცნეს, რომ აუცილებლად საჭიროა ქალაქმა დროებითი საავადმყოფო დააარსოს. მივაქცევთ რა ტფილისის მცხოვრებთა შეგნებულ ნაწილის ყურადღებას ამ ბედკრული ავადმყოფთა შავბნელ მდგომარეობაზე, უნდა ვიკითხოთ: აპირებს ტფილისის ქალაქის თვითმმართველობა, აასრულოს თავისი ვალი მცხოვრებთა წინაშე, თუ ძველებურად სურს ყური მოიყრუოს და ურცხვის გულგრილობით უყუროს გაჭირვებულთა ტანჯვას?

რუსეთი

პარტიული კრება. მოგვყავს შემდეგი საინტერესო ცნობები რუსეთის სოც.-რევოლიუციონერთა პარტიის პირველ კრებაზე (რუსეთში).

თავის მოხსენებაში ცენტრ. კომ. აღნიშნავს როგორც ძნელს პირობებში დაიბადა და განვითარდა პარტია. თავიდანვე მას თავს დაატყდა როგორც მთავრობის სასტიკი დევნა, ისე სხვა სარევოლიუციო-სოც. პარტიების მტრული განწყობილება. ოთხი წელიწადი ებრძოდა პარტია ამ სასტიკ პირობებს და სძლია კიდეც მათ, გამაგრდა ბრძოლაში და დღეს შეუძლია თამამად აღიაროს, რომ ძლიერი პარტია არის. კრებაზე, რომელიც მეტად ძნელ პირობებში იყო მოწვეული (გაფიცვა, მოსკოვის აჯანყება და სხვა), დაესწრო 51 ორგანიზაციის წარმომადგენელი 67 გადამწყვეტის ხმით, რაც შეადგენს 2/3 მთელის პარტიის ორგანიზაციების ხმებისას. კრების გადაწყვეტილებათაგან აღვნიშნავთ პარტიის პროგრამის პროექტის დამტკიცებას ზოგიერთის ცვლილებით. თვალსაჩინო ცვლილება არაფერი მოუხდენია კრებას პროგრამაში: შესცვალა ზოგი მუხლის რედაქცია და ზოგისაც უფრო გაარკვია, დაასაბუთა. მაგალითად, მიწის სოციალიზაციის უბრალოდ აღიარების მაგიერ, პროგრამაში უფრო დეტალურად არის განმარტებული როგორ უნდა გადაეცეს ხალხს მიწა, ვინ უნდა მოაწყოს მიწის მფლობელობის წესები, რა უფლება მიენიჭებათ სახალხო თვითმართველობათა სხვა და სხვა დაწესებულებებს და სხვა. პარტიის ტაქტიკა წინანდელი რჩება. პარტია ს. რ.—სა ქალაქის პროლეტარიატს სთვლის მოწინავე რაზმად. მაგრამ შეცდომა იქნებაო, დასკვნა კრებამ, მარტო ქალაქის მუშებს შეეძლოთ თანამედროვე წესწყობილების დამხობა. პროლეტარიატს უთუოდ გვერდით უნდა ამოუდგეს მშრომელი სოფლის გლეხობაო. კრებამ უარჰყო და პროგრამაში არ შეიტანა სისტემატიური „აგრარული და საფაბრიკო ტერორი“ თანამედროვე ბრძოლაში; დასტოვა მხოლოდ წინანდელი პოლიტიკური ტერორი, რომელიც არ შეჩერდება, სანამ ნამდვილი სახალხო პოლიტიკური თავისუფლება არ დამყარდებაო. ბოლოს კრებამ ერთხმად აღიარა, რომ პარტია აქტიურ ბოიკოტს უცხადებს სახელმწიფო სათათბიროსაო.

გლეხების რეზოლიუცია. პოლტავის გუბერნიის ს. გლადოსკში შეგნებულ გლეხთა ჯგუფს განუცხადებია, რომ ყოველ ცდას ებრაელთა წინააღმდეგ ძალ-მომრეობისას ჩვენ წინააღმდეგობას გავუწევთ და არავითარ საშუალებას არ დავერიდებითო.

სესხი. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, შინაგან სესხის საქმე რუსეთში ჩაფუშულა. ბანკირები ყველანი იმ აზრისანი არიან თურმე, რომ შინაგანი სესხი საქმეს ვერ გაასწორებს, თუ უცხოეთის სესხი არ მოხერხდა, რადგან ოქრო ძლიერ ცოტაა რუსეთში. ეხლა იმისი იმედი-ღა აქვს მთავრობას, რომ გერმანელი ბანკირი მენდელსონი დასთანხმდება და სესხს მისცემს. გერმანულ ზომიერ ორგანოში „ფოსს. ცაიტუნგ“-ში, რომელიც გარეშე საქმეთა სამინისტროსთან ძლიერ დაახლოვებულია, შემდეგი აზრებია გამოთქმული რუსეთის სესხის შესახებ: „ჩვენ ვატყობინებთ ევროპის კაპიტალისტებს, რომ რუსეთის სახელმწიფოსათვის სესხის მიცემა შეუძლებელია. ჯერ-ჯერობით მშვიდობიან განვითარების შესახებ ფიქრიც კი არ შეიძლება. სათათბირო რუსეთის მთავრობის ხერხია უცხოეთის სესხის მისაღებად. ეს ერის სათათბირო არ არის. ბიუროკრატიამ შვა ღირსეული ნაყოფი თავის უვიცობისა. ახალ კანონში ჩვენ ვხედავ მხოლოდ ნიადაგს ქვეყნის ხელახლად აღელვებისათვის და არა დამშვიდებისათვის“.

ვიტტეს აზრი დურნოვოზე. ვიტტეს ერთი ქალისათვის დურნოვოზე უთქვამს, რომ იმას ისეთი გავლენა აქვს შინაურ პოლიტიკაზე, რომ ჩემი ჩამოხრჩობაც შეუძლიან, თუ კი მოინდომებსო. დურნოვოს აზრია, ისე დააშინოს რუსეთში ხალხი, რომ შვილის შვილებსაც კი არ დაავიწყდეთო. როგორც სჩანს, რუსეთს უფრო ყოჩაღი ჰეროსტრატი ჰყოლიათ, ვიდრე ბრძენებს.

არჩევნები. შლისელბურგის მაზრაში პუტილოვის ქარხნების მრეწველებს აურჩევიათ მუშათა რწმუნებულნი საყოველთაო, პირდაპირის, ფარულის და თანასწორ კენჭის ყრით. გარდა ამისა, იმათ არ აცნობეს წინადვე არჩევნების დანიშვნის დრო პოლიციას. არჩევნებზე თვალ-ყური ეჭირათ სამრეწველოების პატრონებს. წესიერება სამაგალითო იყო.

მოსკოვში მიუსის პარკში მუშებმა აირჩიეს რწმუნებული და ქალაქის თავს განუცხადეს, არჩეულის გვარს ვერ შეგატყობინებთ, რადგან გვეშინია, პოლიციამ არ დააპატიმროსო. რადგან ქალაქის თავმა მუშებს რწმუნებულის პიროვნების ხელშეუხებლობის გარანტია ვერ მისცა და მხოლოდ დაჰპირდა, თუ დააპატიმრებენ, ვეცდები განთავისუფლებინოვო, მუშებმა სულ აღარ დაასახელეს თავიანთი რწმუნებული.

გაზ. „ჟიზნ ი სვობ.“ მოგვითხრობს: მოსკოვში, ბუტირკის საპყრობილეში, 27 თებერვალს ღამე არა ჩვეულებრივი მხიარულება იყო. მხიარულად ხარხარებდნენ როგორც პატიმარნი, ისე დარაჯები და ჟანდარმები. მხიარულების მიზეზი ის იყო, რომ საპყრობილეში მიიყვანეს გლეხი ბელიაევი, რომელიც 26 თებერვალს ძლიერ ცხარე მონაწილეობას იღებდა არჩევნებში, რის გამოც გლეხს არჩევნებიდან პირდაპირ საპყრობილეში უკრეს თავი. ბელიაევზე წინად იმავ საპყრობილეში მიიყვანეს მეორე ამრჩეველი, რომელმაც საგლეხო ყრილობაზე თავი ვერ დაიჭირა და გალანძღა ერთი ჟანდარმი. ჟანდარმი ხელს უშლიდა თურმე გლეხებს. „ესეც თქვენი არჩევნების თავისუფლებაო“, იძახოდნენ სიცილით ბუტირკის საპყრობილის პატიმარნი.

მოსკოვში ერთის ქარხნის მუშებმა ერთხმად გადასწყვიტეს, ბოიკოტი გამოუცხადონ სახელმწიფო სათათბიროს. სახელოსნოების გამგე ინჟენერმა პრუდნიკოვმა განიზრახა როგორმე აერჩევინებინა მუშებისათვის რწმუნებულნი. ჯერ აგიტაციას ეწეოდა, მაგრამ ვერ დაიყოლია. მერე ეშმაკობას მიმართა: ინჟენერი დარჩა ღამე სახელოსნოებში და ღამის მორიგ მუშებს უთხრა, დღის მორიგი მუშები უკვე დამეთანხმნენო. ამგვარად მოატყუა ერთი ნაწილი მუშებისა და შეჰკრიბა რწმუნებულთა ასარჩევად, მაგრამ მეორე ნაწილმა ხელი შეუშალა არჩევნებს. მაშინ ინჟინერმა განაცხადა, თუ 219 მუშიდან ათს მაინც შევაგროვებ, არჩევნებს მოვახდენ და ეს არჩევნები კანონიერად ჩაითვლებაო.

ტულის შავ რაზმელების მეთაური კოლოკოლცოვი, რომელმაც სტუდენტებისა და ინტელიგენციის ცემა-ტყეპით ისახელა თავი, გუბერნატორსა და ქალაქის თავს სახელმწიფო სათათბიროს წევრობის კანდიდატად დაუსახელებიათ.

დეპეშა

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.

8 მარტი

პეტერბურგი, 8 მარტი. სინოდის დარბაზში დღეს შეუდგა მუშაობას ის კომისია, რომელმაც უნდა დაამუშაოს საკითხები საეკლესიო კრებაზე განსახილველად. მონაწილეობენ 42 კაცი, გარდა მიტროპოლიტებისა და არქიეპისკოპოსებისა. ტრუბეცკოიმ სთქვა, რომ საეკლესიო საკითხები ალაგობრივ უნდა გაარჩიონ ჯერ საეპარქიოთა და სხვა კრებებმაო. სამარინიც დაეთანხმა ტრუბეცკოის ზოგიერთ მუხლებში. კრება შაბათამდე გადაიდო. პეტერბურგში მოსულთ გაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს მოსკოვში საკრედიტო საზოგადოების გაძარცვის გამო. პეტერბურგის საიდუმლო პოლიციის დასახმარებლად მოსკოვიდან მოვიდნენ საიდუმლო პოლიციის აგენტები.— საკითხი განსაკუთრებულ ირკუტსკის სამხედრო ოლქის დაარსებისა დასტურით გადაწყდა.

ბაქო. ბირჟის კომიტეტმა სახელმწიფო საბჭოში ამომრჩევლად აირჩია ნავთის მრეწველი გუკასოვი და საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარე ტაგიანოსოვი.

ნიჟნი ნოვგოროდი. სორმოვის ქარხნებზე 5 მარტს მოხდა არჩევნები. აირჩიეს 9 რწმუნებული. არჩევნებში მონაწილეობდა 5000 მუშა. ჩინებული წესიერება იყო. საბირჟო საზოგადოებამ სახელმწიფო საბჭოს წევრების ამომრჩევლებად აირჩია ბირჟის კომიტეტის თავმჯდომარე შაპოვი და ნიჟეგოროდის ვაჭართა ბანკის მმართველი ბაულინი.

სამარა. სამარის მაზრის ვოლოსტებმა აირჩიეს 68 რწმუნებულთაგან 9 ამომრჩეველნი. მემამულეებმა აირჩიეს ამომრჩევლებად 9 მღვდელი, 4 აზნაური, 2 „მეშჩანი“ და 37 გლეხი.

მოსკოვი. წვრილმა მემამულეებმა აირჩიეს ბოგოროდის მაზრაში 10 მღვდელი, ექიმი, 2 მოხელე, ვახმისტრი; ვოლოკოლამსკისაში—9 მღვდელი, 4 გლეხი, გამგეობის თავმჯდომარე, 2 ვაჭარი; მოჟაისკისაში—4 მღვდელი, მოხელე, გამგეობის წევრები, 2 ვაჭარი და გლეხი. გადაწყვიტეს ბანკებში ელექტრონის სიგნალიზაციები გამართონ შეიარაღებულ თავდასხმის შემთხვევისათვის, ბანკების ახლოს დააყენონ თოფებით შეიარაღებული საპოლიციო დარაჯები და შეაიარაღონ ბანკის მოსამსახურენი.

სამარა. 8 მარტს, ღამით ნოვუზეიკინის ახლოს, სამარის მაზრაში, გაძარცვეს სახელმწიფო ფოსტა. ბოროტ-გამზრახველთ დარაჯების ტანისამოსი ჩაეცვათ, შეუკრავთ ფოსტის მხლებელი და კუჩერი, მოუპარავთ 38,000 მან. და მიმალულან.

მოგილევი. გუბერნიაში ყველგან მოხდა არჩევნები ვოლოსტების ყრილობებსა და მუშებში. ბიხოვის მაზრაში აირჩიეს 5 მღვდელი და 20 გლეხი, ერთი აზნაური და 3 „მეშჩანი“; კლიმოვის მაზრაში— 9 მღვდელი და 5 მემამულე; ჩაუსისაში—3 მღვდელი და 35 გლეხი და „მეშჩანი“; ჩერიკოვსკისაში—32 გლეხი და 3 მღვდელი.

პეტერბურგი. სავაჭრო-სამრეწველო გაზეთი ყურადღებას აქცევს მსხვილ ვაჭრებისას სახელმწიფო შენახველ კასებზე, სადაც შეიძლება შეინახონ ფულები და ამით თავი დაიღწიონ ისეთ შემთხვევას, როგორიც იყო მოსკოვის საკრედიტო საზოგადოებიდან 800,000 მან. გატაცება.

რიგა. დროებითმა სამხედრო სასამართლომ ლიბავაში ანდერსენის სათოფე მაღაზიის გაძარცვისათვის სპეკსა და როტენბერგს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, გუდს სამუდამო და ასედონს 12 წლის კატორგა, სხვები გაამართლა. რიგის მაზრის ულტენსტოპენის ვოლოსტში გაიგზავნა კომისარი და მაზრის უფროსი, რომელთაც უნდა განუცხადონ სოფლებს გუბერნატორის მოწყრილობა; ამ მოწყრილობის ძალით 10 დღის განმავლობაში უნდა აღმოაჩინონ ვოლოსტმა ურიადნიკის მკვლელები და ვოლოსტის მწერლის დამჭრელნი. თუ ბრძანება არ იქმნა შესრულებული, მაშინ სოფელმა 3.000 მანეთი უნდა გადაიხადოს ჯარიმად.

9 მარტი

გროდნო. ბელსკის ქალაქის კრებაზე აირჩიეს ამომრჩევლად ორი ებრაელი. პრუჟანსკში—საზოგადო რავინი. გროდნოში მემამულეთა კრებაზე აირჩიეს 14 „მეშჩანი“, 7 აზნაური და ერთი ქსენძი.

ბრესტ-ლიტოვსკი. ქალაქიდან აირჩიეს 5 ებრაელი, რომელთაგან ორი ექიმია, ორი ბანკირი და ერთიც ვაჭარი.

ვლადივასტოკი. გუბერნატორმა 6 კვირის ვადა დანიშნა, რომლის განმავლობაში ქალაქიდან უნდა გავიდნენ ყველა ის ებრაელები, რომელთაც ნება არ აქვთ იქ ცხოვრებისა.

კურსკი. ქალაქებიდან აირჩიეს: კურსკში—ვაჭარი; ფატეჟში—ინჟენერი; შჩიგრაში—ვაჭარი, ყველანი პროგრესისტები არიან ყველა ის მუშები, რომელნიც 6 მაზრაში აირჩიეს, ზომიერის მიმართულებისა არიან.

ალჟესირასი კომისიის სხდომაზე პრინციპიალური შეთანხმება მოხდა შესახებ იმისა, რომ მაროკოს პოლიციის ინსპექტორი ტანჟერში მიართმევს ხოლმე მოხსენებას საქმის ვითარებაზე სადიპლომატო კორპუსს, მაგრამ რევოიმ განაცხადა ამასთანავე, საბოლოოდ საქმის გადაწყვეტა ჩემის მთავრობის აზრზეა დამოკიდებულიო. ეტყობა, რომ კაბინეტთა შორის მოლაპარაკებას არ გამოუტანია ისეთი რამ გადაჭრილი დასკვნა, რაც შესაძლებელი იყო ნაადრევად დასდებოდა დელეგატთა კამისიას.

მარსელი. სავაჭრო ფლოტის მეზღვაურთა კავშირმა 6033 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 734-სა მიიღო საკითხი საყოველთაო გაფიცვის მოხდენისა.

ლენი. ანცინის რაიონის მადნების მუშების დელეგატებმა საერთო გაფიცვა გამოაცხადეს.

პეტერბურგი. 15 მარტს სენატში გაარჩევენ ადესის გრადონაჩალნიკად ნამყოფის ნეიდგარდტისა და მინსკის გუბერნატორის კურლოვის საქმეებს. „რუს. გოსუდარსტვო“-მ საკუთარი არტელი დაარსა გაზეთების გამყიდველთა. რედაქციით ცნობით ხელის მომწერთა რიცხვი ძლიერ სწრაფად იზრდება. „რუს. გოსუდარსტვო“ ამბობს, რადგანაც ზოგიერთმა გაზეთებმა ძნელად დასაჯერებელი ცნობები მოათავსეს შმიდტის დახვრეტის დროს მომხდარ ამბების შესახებ, ამიტომ შესაძლებელია დაინიშნოს გამოძიება, რომელიც გამოარკვევს, რა მოხდა შმიდტის დახვრეტის დროს და აგრეთვე მაშინ, როცა მას და მის ამხანაგებს სასამართლოს გადაწყვეტილება გამოუცხადეს.

ხარბინი. ჩინელთა და იაპონელთა შორის დღითი-დღე მწვავდება დამოკიდებულება. იაპონელები თავაგდებულად იქცევიან. არ ემორჩილებიან ჩინეთის კანონებს და მთავრობას. ჩინეთი ყიდულობს ხორბალსა და რუსის დიდრონ ცხენებს.

სამარა. მემამულეთა კრებაზე ნიკოლაევსკში 7 კონ. დემოკრატია.

ხარკოვი მემამულეთა კრებაზე აირჩიეს საერობო გამგეობის უფროსი, წევრი გამგეობისა, საერობო აგრონომი, სამი მღვდელი, 27 გლეხი, უმეტესობა კადეტები არიან.

ოსტაშკოვი. აირჩიეს ქალაქის მხრივ ბოჩკარევი კადეტი.

სარატოვი. პეტროვის მაზრაში მემამულეების კრებაზე აირჩიეს 17 მღვდელი და 7 გლეხი.

პუტივლი. ქალაქიდან აირჩიეს აგრონომი, ყოფილი ქალაქის თავი, ვაჭარი და მემამულე ყველანი კადეტებია, გარდა უკანასკნელისა.

ბორისოგლებსკი. საბირჟო კომიტეტმა აირჩია სახელ. საბჭოს წევრთა ამომრჩევლად ბორისოგლებსკის გამგეობის თავმჯდომარედ ნამყოფი იზმაილოვი აირჩიეს იზმაილოვს უმაღლესი სწავლა აქვს მიღებული.

ხარკოვი. კონ.-დემოკრატები მ. კოვალევსკის ასახელებენ სათათბიროში ამომრჩევლად. ხოლო ჩუგუევში აირჩიეს მღვდელი და 3 გლეხი, კუპიანსკში 4 აზნაური, 11 გლეხი და ერთი „მეშჩანი“, ზმიევში—9 რწმუნებული 17 ოქტომბრის კავშირის პარტიისა. იზიუმში—3 მემამულე, 3 მღვდელი და 5 გლეხი.

ეკატერინოსლავი. ბრიანსკის ქარხანაში მუშებმა გადასწყვიტეს ახსნან სათათბიროს ბოიკოტი. 5000 მუშამ პროგრესიულ მიმართულების რწმუნებულები აირჩიეს.

სნასკი. აირჩიეს 10 მღვდელი, 10 გლეხი და 3 ვაჭარი.

იაროსლავი. მემამულეთა კრებაზე აირჩიეს 8 მღვდელი, ორი ვაჭარი, ორი მეშჩანი და 34 გლეხი.

ბრესტლიტოვსკი. გლეხებმა აირჩიეს სოფლის მასწავლებელი, ვოლოსტის მსაჯული და სამი ხარკის ამკრეფად ყოფილი.

პეტერბურგი. ოფიციალური. უმაღლესის ბრძანებით სახელმწიფო სათათბიროს წევრების არჩევნები ქალაქების საარჩევნო კრებებზე უნდა მოხდეს: პეტერბურგსა, მოსკოვსა, კიშინევსა, კურსკსა, ორიოლსა, სამარასა, ტულასა, ხარკოვსა და იაროსლავლში 14 აპრილს, ასტრახანსა, ვილნოსა, ვორონეჟსა, ეკატერინოსლავსა, ყაზანსა, კიევსა, ნიჟნისა, ადესასა და დონის როსტოვსა ნახიჩევანითურთ და სარატოვში—17 აპრილს.

პეტერბურგი. გამოქვეყნდა უმაღლესი ბრძანება სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის განხილვის წესების დამტკიცების შესახებ, ხსენებული აღრიცხვა უნდა შეიტანონ სახელმწიფო საბჭოსა და სათათბიროში 1 ოქტომბერს და უნდა განხილულ იქნას მიმდინარე წლის 1 დეკემბრამდე. თუ განხილვის დროს სხვა და სხვა ნაირი აზრი ჩამოვარდა, მაშინ საქმე სათათბიროსა და საბჭოს შეერთებულ კომისიას გადაეცემა. სათათბიროსა და საბჭოს ხელი არ ექნებათ საიმპერატორო სასახლისთვის კრედიტის გადადებაში.

მოსკოვი. მოსკოვის მაზრის გლეხებიდან გუბერნიის საარჩევნო კრებაზე გასაგზავნად აირჩიეს ვოლოსტის მამასახლისი.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

9 მარტი

პეტერბურგი. რკინის გზებზე საგანგებო სამხედრო მატარებლების დანიშვნას აზრად აქვს სამხედრო ძალის შემწეობით ჩააქროს რკინის გზის არეულობანი დაწყებისთანავე. ამასთანავე განზრახვაა მზად იყოლიონ მთელი რაზმი სამხედრო პირებისა, რომელთაც გაფიცულების ადგილზე ჩააყენებენ.

„სლოვო“-ს სიტყვით, კოკოვცევი დაინიშნება ვიტტეს ადგილზე, თუ უკანასკნელი სამსახურიდან გავიდა.

წვრილ ერთეულის შემოღებას 3—4 ვოლოსტისაგან მხოლოდ მჭიდროთ დასახლებულ გუბერნიებში აპირებენ.

ვარშავა. დაადგინეს, თოფები დაურიგონ ცხენოსანსა და ქვეით პოლიციელებს და აგრეთვე ჟანდარმებს.

ვლადივოსტოკი. დიდძალი უმუშოდ დარჩენილი ხალხი იყრის აქ თავს.

ტოკიო. ფორმოზის გუბერნატორი იუწყება, მიწის ძვრის დროს 616 კაცი დაიჭრა. დანგრეულა 2677 სახლი. [illegible] ჯერაც ისევ განაგრძობს რყევას.

მონსი. გაიფიცა 2,000 მუშა ნახშირის მაღაროებისა.

გროდნო. ფაბრიკებში მუშების არჩევნები არ მოხდა.

მინსკი. პოლონელ ამომრჩეველთ განზრახვა აქვთ შეუერთდნენ ებრაელებისას და უზრუნველ ჰყონ აღნიშნულ კანდიდატების გაყვანის საქმე.

ნოვოჩერკასკი. საიდუმლო ბინაზე დაატუსაღეს პროკლამაციების მბეჭდავი და წაიღეს ჰექტოგრაფი.

ხარკოვი. გაზეთების ცნობა იუზოვკაში მუშების არეულობის შესახებ ტყუილია.

პეტერბურგი. „რუს. გოსუდარსტვო“ უარჰყოფს ცნობას შესახებ იმისა, ვითომც გზათა მინისტრს განეზრახოს გზებზე მოსამსახურეების ფულით დაჯარიმების მოსპობა.

მოსკოვი. საბირჟო საზოგადოებამ სახელმწიფო საბჭოს წევრთა ამომრჩევლებად აირჩია კრესტოვნიკოვი, ბარანოვი, ბარონი კნოპი და პროხოროვი.

ბანკებში მოსამსახურენი რევოლვერებით არიან შეიარაღებულნი, პოლიციელები თოფებით. ზოგიერთ ბანკებში პოლიციელებს საუკეთესო პოზიციები აქვთ ამორჩეული თოფების სასროლად.

დუბასოვმა უთხრა მონარქისტთა პარტიას, უეჭველად დროა ნახმარი არეულობის ჩასაქრობადაო.

პოლტავა. „კოლოკოლ“-ი იუწყება, კონსტანტინოგრადის მაზრაში მემამულეებმა თითო-აბაზი დაადეს თითო დესეტინა მიწაზე გადასახადათ. ამ ფულით ყარაულებს დაიქირავებენ მამულების დასაცველად გლეხებისაგან.

მიტავა. ფრიდრიხშტადტის ქვის სტებ მთებში იპოვნეს დამალული იარაღი.

კურსკი. სამხედრო სასამართლომ გენ. დობროვოლსკის და როტმისტრს თავ. ბაგრატიონს გადაუწყვიტა საპყრობილე, პირველს 2-თა, ხოლო მეორეს 3 თვით.

ბორისოვი. დაბა ხოლოპენიჩში დაიჭირეს 7 გლეხი, რომელნიც ხალხს აქეზებდნენ არ გადაეხადათ სახელმწიფო გადასახადებიო.

რადომი. რევოლვერით დასჭრეს სასწავლებელთა დირექციის უფროსი სტანკევიჩი.

ეკატერინოსლავი. ვაგონის სტამბიდან 6 შეიარაღებულმა კაცმა გაიტაცა 20 ფუთი შრიფტი და გაიქცა.

ტოკიო. ჩრდილოეთ იაპონიის ზოგიერთ ადგილებში დიდი არეულობა მოახდინეს დამშეულებმა.

ვილნო. დასჭრეს ურიადნიკი.

ჰელსინგფორსი. კაპიტანი კოკ[illegible] ფინლანდიაში და რევიზიას უშვრება წითელ გვარდიის ცალკე ნაწილებს. კოკი უფროსია წითელ გვარდიისა.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ვ. ჯაბადარი.**

განცხადებანი!

Იხსნება 10 მარტიდან გოლოვინის პროსპექტზე, ცირკის გვერდით, ახალი სასტუმრო „პურ-მარილი“, სადაც შეიძლება შოვნა ყოველ-ნაირ სასმელ-საჭმლისა, ქართულ და ევროპიულ გემოვნებაზე, იქვე არის ბილლიარდი და აუზი თევზებით. სამი ბლუდი სადილი ღირს—50 კაპ. და იაფათაც.

პატივისცემით **იოსებ მუსხარიძე.** (6—3)

ხეხილის ნერგები

საუკეთესო ხარისხის, საზღვარ-გარეთისა და ალაგობრივი, ისყიდება ზომიერ ფასებში

ფ. ავსარქისოვის

მამულში. კატალოგი ეგზავნება მსურველთ უფასოდ. ადრესი: კავკასიის რკინის გზის სადგური სკრა ფ. ავსარქისოვს. (10—10)

დაიკარგა ბავშვი

დაბადებიდან 9 წლისსა, აცვია სერი პალტო და ამგვარივე ქუდი, მაუდის ფეხსაცმელი და ზედ კალოშები, მრგვალი პირისახე აქვს, სახელი **პეტია** და თუ სადმე აღმოჩნდეს ეს ბავშვი გთხოვთ გვაცნობოთ ამ ადრესით—Кутаисъ, Губернская типографія, С. Ф. Луневу. (2—2)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კაპ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ისედო, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	—
II და III ტომი თითო	1	—
ილ. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნად	—	80
სოფლის კუნძულ, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენჰო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	55
ხიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	10
ლვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50

სესხი გლეხებს

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგლეხო ბანკის დახმარებით გლეხებს შეუძლიათ ადგილ-მამულის შეძენა. ვკისრულობ ყველა საქმეს, რომელიც დასჭირდება სესხის გამოტანას, ადგილ-მამულის შეძენას სოფლის საზოგადოებისათვის, გლეხთა ამხანაგობისათვის, ცალკე სოფლებისათვის; ვაფასებ ტყეებს, ვადგენ გეგმებს, მამულების აღწერას,—ყველაფერს, რაც საჭიროა მამულის ყიდვა-გაყიდვისათვის და დაგირავებისათვის.

იმ თავად-აზნაურთ, რომელთაც ჰსურთ მამულების გაყიდვა და აგრეთვე იმ გლეხთა საზოგადოებათ და სოფლებს, რომელთაც ჰსურთ მამულების ყიდვა ჩემის შუამავლობით, ვთხოვ მომმართონ მე **ტფილისში,** ფრეილინის ქუჩა, სახლი № 3, ტელეფონი № 567,

ვ. ხნეჟკოვს. (30—14)

მსწრაფლმბეჭდავი „წიგნების გამოც. ქართვ. ამხ.“-სა. ვანქის დიდი ქუჩ. ტელეფონი № 372.